ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 27 სექტემბერი 2002 №183 (1705) | ფასი 50 თეთრი


# დაცემის დღე

## თავისი დაკარგული სოხუმი ქართულმა ფეხბურთმაც უნდა დაიბრუნოს

დღეს 27 სექტემბერია და ვინძლო ზოგს აღარც ახსოვდეს, რა მოხდა ამ დღეს ცხრა წლის წინ.

ცხრა წლის წინ დაეცა სოხუმი. ეს დაცემის ერთი კონკრეტული, მაგრამ უმტკივნეულესი ფაქტი იყო, თორემ საქართველო იქამდე დაეცა და დღემდე ასეა. და განა მტკიცება უნდა იმას, რომ იგივე სოხუმი ოდენ უცხოტომელის მიზეზით არ დაცემულა, მთავარი საკუთარი უტვინობა და უნიჭობა იყო.

დიდი დაკვირვება არ სჭირდება იმის დანახვას, რომ თითქმის ყველა სფეროს მართავს ხალხი, ვისთვისაც დაპირება ჰაერზე ნათქვამი სიტყვაა და ეს ხალხი აკეთებს იმას, რისი კეთებაც უბრალოდ არ იცის. აკეთებს იმიტომ, რომ ჰგონია, დედამიწა მის გარეშე არ ტრიალებს. ყველა სფეროში, დიდი თუ პატარა ჩინოვნიკები ყოველდღე ამბობენ: მე ამაზე პასუხისმგებელი ვარო, მაგრამ წახდენილი საქმის მერე, პასუხისგების დრო რომ დგება, ირკვევა, რომ პასუხისმგებელი არავინაა.

განა ქართული ფეხბურთი ის სფეროა, რომელსაც ზემოთ ნათქვამი არ ეხება?

შვეიცარიული სირცხვილიდან 19 დღე გავიდა და ფედერაციის პრეზიდენტს არც უსაუბრია ნაკრების მწვრთნელთან. არადა, რუსებთან თამაშამდე 15 დღეღა დარჩა.

შვეიცარიასთან მარცხის მერე ფედერაციის პრეზიდენტმა თქვა, რომ ამ ნაკრებს პერსპექტივა არ აქვს, მაგრამ დამნაშავეთა დასახელებას რუსეთთან თამაშამდე არ აპირებს. მიზეზი ბუნდოვანია: თურმე ნაკრებში არასასურველი ატმოსფერო შეიქმნება. მაგრამ უპერსპექტივობაზე არასასურველი რაღა უნდა იყოს?!

მერაბ ჟორდანიასთან ინტერვიუში, რომელიც გუშინდელ „სარბიელში" დაიბეჭდა, პრეზიდენტს საუბარი იქითკენ მიჰყავს, რომ ის, რაც ნაკრებს სჭირს, მხოლოდ ფეხბურთელების ბრალია. ფეხბურთელებიც ბევრს რომ სცოდავენ, თქმაც არ უნდა, მაგრამ მწვრთნელი? ეგებ პრეზიდენტი იმიტომ არიდებს თავს მწვრთნელის პასუხისმგებლობაზე ლაპარაკს, რომ ალექსანდრე ჩივაძის ნაკრებში დანიშვნაზე თავად აიღო პასუხისმგებლობა?

უკვე ნათქვამი კვლავაც გავიმეოროთ — ვინ გინახავთ, წახდენილი საქმის მერე პირადი პასუხისმგებლობა გახსენებოდეს.

წინ კი რუსეთია, რომელსაც საქართველოს უპერსპექტივო ნაკრები უნდა დაუხვდეს. იმედი? იოტისოდენა, მაგრამ მაინც არის. არა იმიტომ, რომ მწვრთნელი რაიმე საიდუმლო იარაღს გამოიყენებს — ასეთი, უბრალოდ, არ აქვს, არამედ იმიტომ, რომ ბურთი მართვადი რაკეტისგან ცოტათი განსხვავდება და შეიძლება იქით არ გაფრინდეს, საითაც დამიზნებულია.

რუსეთი კი გაათკეცებული მონდომებით გვემუქრება რაკეტებით. ამ დროს ფეხბურთი რჩება ერთადერთ სფეროდ, სადაც ჩვენ, ცივილიზებული ქვეყნების დაუხმარებლად შეგვიძლია რუსეთის დამარცხება. მაგრამ მათ, ვინც ეს უნდა გააკეთოს, 12 ოქტომბრის მატჩი გამორჩეულად სულაც არ მიაჩნიათ — ფედერაციის პრეზიდენტი უპერსპექტივო ნაკრების პერსპექტიულად ქცევის გზებზე 13 ოქტომბრამდე არაფრის თქმას არ აპირებს, მწვრთნელს არც ერთ კითხვაზე პასუხი არ აქვს, ფეხბურთელები კი, პრეზიდენტისავე თქმით, ფეხბურთზე მეტად პრემიებზე ფიქრობენ.

ის ამბავიც ხომ არ დაგვიწყებიათ, დუბლინში, კალენდრის შედგენისას, ალექსანდრე ჩივაძე ულაპარაკოდ რომ დაყაბულდა რუსეთისთვის სასურველ ვარიანტს?

ასეა, ჩივაძე და ჟორდანია ვიაჩესლავ კოლოსკოვის მეგობრები არიან და ალბათ ხათრი ვერ გაუტეხეს. სიტუაცია ხომ არ გეცნობათ? საქართველო მუდმივად უთმობს, რუსეთს კი საქართველოსთან მეგობრობა, აგერ ორასი წელია, აზრად არ მოსვლია.




30 სექტემბრიდან
ორშაბათობით და ხუთშაბათობით, შემდგომში სამშაბათობითაც
მო 1/X X X/2 იკითხეთ «კროკო»
გაზეთი პროფესიონალებისთვის
ანგარიშები, კოეფიციენტები, ბადე-ცხრილები
ფასი 20 თეთრი

# წარმოუდგენელი ნახტომი



სანდრო იაშვილის საგოლე თავური

# საქართველო აზერბაიჯანს ეჩხუბა

ცხრამეტწლამდელები. ამხანაგური მატჩი

## საქართველო 1:0 აზერბაიჯანი

თბილისი. 26 სექტემბერი. 17.30 საათი. ნორჩი დინამოელი. 250 მაყურებელი

| | |
|---|---|
| 1:0 იაშვილი (35) | |
| საქართველო: მეშანიშვილი, ა. კალაძე, იმედაშვილი, ლ. ქელიძე, გოგინაშვილი (სილაგავა 46), ზ. ბურნაძე, მჭედლიძე (გ. ქელიძე 62), დარსანია (თ. დემეტრაძე 68), მძინარიშვილი (ლილუაშვილი 46), ს. იაშვილი (გ. ახალაია 79), ელიავა (ოქროცოევიძე 46). სათადარიგო: კალანდაძე | აზერბაიჯანი: კარიმი, აბასოვი, ამირჯანოვი, მამედოვი (გ. ჰუსეინოვი 64), ე. ჰუსეინოვი, გუმბათოვი, მადათოვი, საფაროვი, ატაკიშიევი (ჰასანოვი 79), ზეინალოვი (ქურბანოვი 66), ალიევი (იუსუბოვი 79). სათადარიგონი: ბაირამოვი, მურად ზადე |
| გაფრთხილება: ე. ჰუსეინოვი (12), ლ. ქელიძე (44), ბურნაძე (60), აბასოვი (70), იმედაშვილი (77), გუმბათოვი (85) | |
| განძევება: ე. ჰუსეინოვი (18), ლ. ქელიძე 87) | |
| მსაჯი: ო. ხეცაძე | |
| ჯარიმა 23-27; კუთხური 4-3; კარისკენ დარტყმა 5-4; კარში დარტყმა 5-2; თამაშგარე 3-2 | |

მამუკა კვანტალიანი

**კიდევ კარგი,** საქართველოსა და აზერბაიჯანის ხელისუფალთ ისეთივე მეგობრობა არ აკავშირებთ, როგორიც ორი ქვეყნის ცხრამეტწლამდელთა ნაკრებების თამაშისას გუშინ მუშტაიდში ვნახეთ, თორემ ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენს ვინ ჩივის, კიდევ ერთი მტრულად განწყობილი მეზობელი გვეყოლებოდა.

„ნორჩი დინამოელის“ ბალახისსაფარან მოედანზე ნანახ თამაშს ამხანაგურობისა არაფერი ეცხო, არადა, სტატუსი ზუსტად ასეთი ჰქონდა. საქართველომ იაშვილის კინკილა გოლით აჯობა მეტოქეს, მოედანი კი ეპიზოდურად სასაკლაოს უფრო მოგაგონებდათ, ვიდრე საფეხბურთო მინდორს.

აზერბაიჯანელი ცხრამეტწლამდელები ჩვენებურებივით ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპისთვის ემზადებიან და თბილისში შეკრებაზე იმყოფებიან. ძლიერი გუნდი ჰყოლიათ მეზობლებსო, რომ ვთქვათ, გადამეტებულია, მაგრამ სტუმრებს მშიშარა ბიჭები ნამდვილად არ ჩამოუყვანიათ და შინ ნებისმიერ მეტოქეს ბრძოლას გაუმართავენ.

სტუმრებს მაინცდამაინც არც ნიჭიერება ეტყობოდათ, ამ მხრივ ჩვენებურები სჯობდნენ მეტოქეს, მაგრამ რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, გუნდურ ბურთაობაში აზერბაიჯანელები ამეტებდნენ მასპინძლებს.

ოთარ კორღალიძე, ეტყობა, ჯერაც ძიებაშია. ნაკრების მწვრთნელებმა ერთი არასრული თვის შემდეგ საქართველოს უნდა წარუდგინონ თავისი საფეხბურთო მომავალი, 18 საუკეთესოს შერჩევა კი ადვილი საქმე ნამდვილად არ არის.

გუშინ სათამაშოდ გამოსულ 16 ჩვენებურიდან რომელი ერთი ჩამოვთვალოთ: ქელიძე, ბურნაძე, იაშვილი, დარსანია, ლილუაშვილი, ახალაია, დემეტრაძე ოქროცოევიძე, სილაგავა თუ ელიავა, დანარჩენებიც ინდივიდუალურად ჩინებული მოთამაშეები ჩანან. ზოგი მათგანი ლეგიონერია, ზოგიც ეროვნული ჩემპიონატის სხვადასხვა ლიგაში თამაშობს, მაგრამ აშკარად ჩანდა, რომ ეს ბიჭები შეუთამაშებლები არიან. მათ გუშინ ერთმანეთისა ძნელად ესმოდათ და უფრო ინდივიდუალური თამაშით ცდილობდნენ ფონს გასვლას.

ცალკე საფიქრალია ნაკრების წევრების არასაკმარისი სათამაშო პრაქტიკა, ზოგი ახალი განკურნებულია ტრავმებისგან და ფიზიკურად გაუჭირდათ კიდეც. მოკლედ, წინ 23 დღეა და საკმაო სამუშაოც. კარგი იქნება თუ ფეხბურთის ფედერაცია შესარჩევი ეტაპის დაწყებამდე ათი დღით ერთად შეკრების საშუალებას მაინც მისცემს ცხრამეტწლამდელებს, თორემ რაც შეიძლება ეყოს ფარერებს, ვერაფრით გასწვდება ბელგიას და უკრაინას.

კორღალიძის გუნდის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მეტად უხეში თამაშის ფონზე მის შეგირდებს ფეხები არ დაუზოგავთ. მეტოქეს ხისტ თამაშში აჰყვნენ და არაფერი დაუთმეს. უშიშარობა და ბრძოლისუნარიანობა კი კარგის ნიშანია.

გამარჯვების გოლი ფორვარდმა სანდრო იაშვილმა გაიტანა. ელიავას ჩაწოდებულ ბურთს ვიტჯორჯიელმა ზუსტად შეურჩია ადგილი, კარიდან გამოსული მეკარე და მის დასახმარებლად მებრძოლი მცველი საჰაერო დუელისას დაჩაგრა და თავური გაიტანა. ვერავის წარმოედგინა, იაშვილი იმსიმაღლეზე თუ ახტებოდა. ეს დიდი ფეხბურთის ელემენტი იყო.

გასატანი ჩვენებურებს ორი-სამი სხვაც ჰქონდათ, მაგრამ ბურნაძეს სტუმართა მეკარე კარიმმა აული ეშმაკურად დარტყმული, ხოლო დანარჩენ მომენტებში სიზუსტემ დაალალატა კორღალიძის ფორვარდები.

მეორე ტაიმში გოლის გატანა აზერბაიჯანელებსაც შეეძლოთ. ატაკიშიევი ჩვენებურ მეკარესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ მოძხვდურის დარტყმულს მემანიშვილი შესწვდა და ბურთი კუთხურზე მოიგერია.

ქართველი ცხრამეტწლამდელები აზერბაიჯანელ თანატოლებს დღეს კიდევ ერთხელ გაეჯიბრებიან. ისე, კარგი იქნება, თუ მსაჯები დროზე მივლენ და მატჩიც საკონტროლოს უფრო დაემსგავსება, ვიდრე საკრივო რინგს.

# ბარამიძე მილანისთვის აღარც ფიქრობს და აღარც ირბენს



სოსო ბარამიძე

**შაბათს** პირველ საშინაო მოგებას გეგმავს უმაღლესი ლიგის დებიუტანტი „მილანი“. წნორელები გურჯაანში „ბათუმს“ უმასპინძლებენ და საამმატჩოდ გამალებულ სამზადისშიც არიან, თუმც პრობლემებიც არ აკლიათ.

გუშინ გაირკვა, რომ გუნდს საბოლოოდ დაშორდა სოსო ბარამიძე. „მილანმა“ სწორედ ბარამიძის ძალისხმევით მოიპოვა უმაღლესი ლიგის საგზური, სოსო წარმატებით უთავსებდა ერთმანეთს მწვრთნელობას და ფეხბურთელობას, მაგრამ უმაღლეს ლიგაში წარუმატებელი სტარტის შემდეგ, „მილანის“ ხელმძღვანელებმა მთავარი მწვრთნელის პოსტზე ბერდია გვენცაძე მიიწვიეს, ბარამიძეც მხოლოდ ფეხბურთელობას დასჯერდა, თუმც დროებით. ბოლო ორ ტურში მისი უთამაშებლობის მიზეზი გუშინღა გაცხადდა — სოსომ „მილანიდან“ წასვლის გადაწყვეტილება მიიღო — ამის შესახებ კლუბის პრეზიდენტმა მარიამ ფირცხალაიშვილმა გვითხრა.

„ბათუმთან“ პრინციპულ მატჩში ბერდია გვენცაძე კვლავაც ვერ დაიხმარს წამყვან შემტევებს — ზაზა მელოევი და ოთარ ვარამაშვილი ჯერ არ მომჯობინებულან. მათი მოედანზე დაბრუნება ორი კვირის შემდეგაა მოსალოდნელი.

თავის მხრივ პრობლემები აქვს „ბათუმსაც“. გუშინ არ უვარჯიშია სიცხიან თემურ ტულუშს, ასლან ბალაძის თქმით, მისი გურჯაანში გამგზავრება საეჭვოა.

ბაატა კვანტალიანი


# 24 საათი თქვენს განკარგულებაში

ავტოტრანსპორტით, თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობითა და იარაღით

## დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური

## შპს «დარაკა»

- პერსონალური დაცვა, საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების სხვადასხვა სფეროში დასაქმებული მოქალაქეებისთვის.
- დაცვითი ღონისძიებების უზრუნველყოფა.
- საოფისე, ადმინისტრაციული შენობების, საცხოვრებელი სახლების, წარმომადგენლობებისა და ორგანიზაციების დაცვა.
- იურიდიული კონსულტაცია.
- საადვოკატო მომსახურება.
- სასამართლო წარმომადგენლობა.
- აუდიტი.

ჩვენ ვიცავთ კანონს!
კანონის უზენაესობა უპირობოა!

მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 41, სართული 5.
ტელ: (99532) 394003, ტელ/ფაქსი: (99532) 225186


საქართველოს 14 ჩემპიონატი
პირველი ლიგა

### აღმოსავლეთი

მეორე ტური

25 სექტემბერი

კახეთი — პოლიციის აკადემია 1:0; შავნაბადა — სიონი 2 0:0; სამგორი — ჰერეთი 1:2; ერთობა — ნორჩი დინამოელი 0:3; მაუდი — დინამო 2 (სოხ.) 2:0; დინამო 3 — გორდა 2 5:0

26 სექტემბერი

კრწანისი — ზოოვეტი 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰერეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 9:1 | 6 |
| დინამოელი | 2 | 2 | 0 | 0 | 8:0 | 6 |
| ზოოვეტი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 6 |
| სიონი 2 | 2 | 1 | 1 | 0 | 6:0 | 4 |
| კახეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| დინამო 3 | 2 | 1 | 0 | 1 | 6:2 | 3 |
| მაუდი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| გორდა 2 | 2 | 1 | 0 | 1 | 3:5 | 3 |
| დინამო 2 (სოხ.) | 2 | 1 | 0 | 1 | 2:5 | 3 |
| შავნაბადა | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| პოლ. აკადემია | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | 0 |
| კრწანისი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | 0 |
| სამგორი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:8 | 0 |
| ერთობა | 2 | 0 | 0 | 2 | 0:10 | 0 |

### ცენტრალური

მესამე ტური

26 სექტემბერი

ცხუმი — მესხეთი 0:2; ვიტ ჯორჯია 2 — ყაზბეგი 0:0; ვარძია — ცხინვალი 2 1:2; ოლიმპი — ვაკე 91 0:2; თორი — მცხეთა 2 2:2; დილა 2 — პრემა 1:3; ფეხბურთის აკადემია — ლიახვი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიტ ჯორჯია 2 | 3 | 2 | 1 | 0 | 7:2 | 7 |
| ვაკე 91 | 3 | 2 | 0 | 1 | 9:3 | 6 |
| თორი | 3 | 1 | 2 | 0 | 9:3 | 5 |
| ფეხბ. აკადემია | 3 | 1 | 2 | 0 | 6:3 | 5 |
| მესხეთი | 3 | 1 | 2 | 0 | 4:2 | 5 |
| მცხეთა 2 | 3 | 1 | 2 | 0 | 3:2 | 5 |
| პრემა | 3 | 1 | 1 | 1 | 4:[illegible] | 4 |
| ლიახვი | 3 | 1 | 1 | 1 | 5:8 | 4 |
| ცხუმი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:2 | 3 |
| ოლიმპი | 3 | 1 | 0 | 2 | 1:3 | 3 |
| ცხინვალი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:6 | 3 |
| ყაზბეგი | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| ვარძია | 3 | 0 | 1 | 2 | 1:7 | 1 |
| დილა 2 | 3 | 0 | 0 | 3 | 3:11 | 0 |

### დასავლეთი

მესამე ტური

25 სექტემბერი

რაჭა — კოლხეთი 2 1:0; მეშახტე — სალხინო 3:2; მაღაროელი — სქური 4:2; ბათუმი 2 — სულორი 1:0; სსუ — ინტერი 1:1; დინამო (ზუგ.) — შევარდენი 5:1

26 სექტემბერი

ჩიხურა — ლუკა 3:0; დინამო (სოხ.) — ოდიში 2002 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩიხურა | 3 | 3 | 0 | 0 | 14:2 | 9 |
| ოდიში 2002 | 3 | 3 | 0 | 0 | 7:3 | 9 |
| მაღაროელი | 3 | 2 | 1 | 0 | 7:4 | 7 |
| დინამო (ზუგ.) | 3 | 2 | 0 | 1 | 6:3 | 6 |
| ლუკა | 3 | 2 | 0 | 1 | 4:4 | 6 |
| მეშახტე | 3 | 2 | 0 | 1 | 3:4 | 6 |
| ინტერი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:3 | 4 |
| სქური | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 3 |
| რაჭა | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| ბათუმი 2 | 3 | 1 | 0 | 2 | 3:5 | 3 |
| სალხინო | 3 | 1 | 0 | 2 | 6:10 | 3 |
| შევარდენი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:7 | 3 |
| სსუ | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | 1 |
| სულორი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:4 | 1 |
| დინამო (სოხ.) | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | 0 |
| კოლხეთი 2 | 3 | 0 | 0 | 3 | 1:8 | 0 |

### იტალია

თასის II ეტაპი. 1 მატჩები

რეჯინა 1:0 მოდენა
ემპოლი 1:1 ტორინო

### ფინეთი

თასის 1/2 ფინალი

ჰაკა 2:1 იარო
ლაჰტი 1:1დ.დ. (პენ. 4:2, 1:1) ალიანსი

### შვედეთი

თასის 1/2 ფინალი

ელფსბორგი 0:1 აიკ
იურგორდენი 4:0 მალმიო


რეკლამა სარბიელ-ში

Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80

# რატი, აქ ითამაშებ!

## ჟორდანია ალექსიძეს უცხოეთში არ უშვებს



რატი ალექსიძე

**ლონდონის „ჩელსიდან"** ახლახან გათავისუფლებული რატი ალექსიძე ზამთრამდე, ალბათ, საქართველოს ჩემპიონატში ითამაშებს. გუშინწინ ალექსიძე ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ მერაბ ჟორდანიას შეხვდა, რომელიც მას ახალი კლუბის გამონახვაში დახმარებას ჰპირდება, თუმც სანუგეშო მისგან ვერაფერი მოისმინა.

— რატის „ჩელსისთან" ხუთწლიანი კონტრაქტი ჰქონდა გაფორმებული, მაგრამ აქამდე ის უთამაშებელი იყო და ჩემი ინგლისელი მეგობრების დახმარებით მოვახერხეთ, მისი კლუბიდან ორი წლით ადრე გათავისუფლება — გვითხრა მერაბ ჟორდანიამ რატისთან შეხვედრის შემდეგ — არ დაგიმალავთ, ახლა ცოტა უკმაყოფილოც კი ვარ. ფეხბურთელი, ერთი შეხედვითაც კარგად ჩანს, ფორმაში არ არის. ლესვე შემიძლია, საქმეში მეგობრები ჩავრთო და რატი რომელიმე უცხოურმა კლუბმა მიიღოს, მაგრამ ამის კატეგორიული წინააღმდეგი ვარ — ჯერ ფორმა აღიდგინოს. მას ვურჩევ, რომელიმე ქართული კლუბის ხელმძღვანელებს მოელაპარაკოს და ევროპაში სატრანსფერო სეზონის გახსნამდე აქ ითამაშოს. ფეხბურთელი ფორმას, შესაბამის კონდიციას დაიბრუნებს, მისი კლუბი კი გარკვეული ხნით გაძლიერდება.

თავად რატი ალექსიძის თქმით, უახლოეს ორ-სამ დღეში უნდა გაირკვეს, რომელ გუნდში ითამაშებს. შეგახსენებთ, რომ ამ ფეხბურთელის სატრანსფერო ფურცელი „ჩელსიდან" მერაბ ჟორდანიას ჩარევით ქუთაისის „ტორპედომ" გამოითხოვა, თუმც ეს იმას არ ნიშნავს, რომ რატი აუცილებლად ტორპედოელი გახდება.

**კობა ინასარიძე**

# ფოფხაძეს მოდებაძე გოლებით დახვდა

## უკრაინამ ქართველი გააყვითლა

**ზურაბ ფოფხაძის** ასავალ-დასავალი დიდი ხანი არავინ უწყოდა. ახლო წარსულში სამარის „კრილია სოვეტოვის" კაპიტანი გუნდიდან ალექსანდრ ტარხანოვის მთავარ მწვრთნელად დანიშვნის შემდეგ დაითხოვეს და კარიერაარეული კარგა ხნის მანძილზე არც გამოჩენილა.

ახლა კი ისე მოხდა, რომ უკრაინაში მობურთალ ქართველებს ისიც შეემატა. ერთ დროს საქართველოს ნაკრების წევრმა ფოფხაძემ კრივოი როგის „კრივბასს" შეაფარა თავი და იქაურ ჩემპიონატში ორი მატჩის ჩატარებაც მოასწრო. ჯერჯერობით მეთოთხმეტე ადგილზე მყოფი კრივბასელები ერთობ სუსტად ირჯებოდნენ დაცვაში და ჩვენებურ მცველსაც დიდი სიამოვნებით გაუღეს კარი. როგორც ჩანს, ბოლოხანს სათამაშო პრაქტიკას მოკლებული ფოფხაძე უკრაინელთათვის საკმაო ძალა გამოდგა და ქართველმა მცველმაც ახალი კლუბის ძირითად შემადგენლობაში უმალ დაიმკვიდრა ადგილი — ორივე მატჩში 90 წუთი დაჰყო მოედანზე, ოღონდ ორჯერვე ყვითელი ბარათი დასტყუა მსაჯს.

უკრაინაზე ვთქვით და ბარემ ბოლო ტურის „ქართულ დუელზეც" ვთქვათ. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თავდამსხმელმა ირაკლი მოდებაძემ საქართველოსვე ეროვნული გუნდის ნახევარმცველის, გოჩა ჯამარაულის „მეტალურგს" სტუმრად გაუტანა და მეტოქეს ქულაც დასცინცლა. ფრე დონეცკელთათვის მეტად უხეირო შედეგი უნდა იყოს, რადგან ჯამარაული და მისი თანაგუნდელები ევროსაგზურს უმიზნებენ. აი, სატურნირო ცხრილის ქვედა ნახევარში მოყურყუტე ირაკლი მოდებაძის გუნდმა კი მცირე შვება იგრძნო. სხვათა შორის, ზედიზედ მეორე მატჩია, ახალგაზრდა ქართველი ფორვარდი უგოლოდ არ ტოვებს მოედანს.

**კახა ზალამბერიძე**



ზურაბ ფოფხაძე



მიხეილ ფოცხვერიამ „დნიპროს" მეორედ მიაკითხა

# ფოცხვერიამ ძველი დრო დაივიწყა და ძველი კლუბი გაიხსენა

**უკრაინის ჩემპიონატის** ლიდერმა დნეპროპეტროვსკის „დნიპრომ" ქართველი თავდამსხმელი მიხეილ ფოცხვერია განაცხადში შეიყვანა და შესაძლოა, მიმდინარე სეზონში ათამაშოს კიდეც. ყოველ შემთხვევაში, კლუბის ოფიციალური ვებ-გვერდი ირწმუნება, რომ 27 წლის ქართველი ფორვარდი ჯანზეა და უკვე ინდივიდუალური პროგრამითაც ვარჯიშობს ფიზმომზადების მწვრთნელ გენადი ივანოვის მეთვალყურეობით.

ფოცხვერია ადრეც ირიცხებოდა „დნიპროში" და ამ კლუბის ძირითად შემადგენლობაში შვიდჯერ ითამაშა. მანამდე კი ის დონეცკის „შახტარის" ღირსებას იცავდა, საიდანაც მოგვიანებით თბილისურმა „მერანმა" გამოიხსნა.

ახლო წარსულში საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ლიდერი, მოგვიანებით კი ეროვნული გუნდის კანდიდატი, ავჭალელებსაც დაეხმარა მეცამეტე ჩემპიონატში, თუმც მალე მძველი ტრავმა გაიმიზეზა და... ვინ იცის, მის მერე რამდენი ოპერაცია გადაიტანა გატანჯულმა ფოცხვერიამ. სპეციალისტები მას კარიერის ნაადრევად დასრულებასაც უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ მიშამ საკუთარ თავში ძალა მაინც გამონახა და ამდენი ხნის უთამაშებლობის ფონზე საკმაოდ სოლიდურ კლუბსაც შეაფარა თავი.

ახლა ჯერი თავად ფეხბურთელზე და მის იღბალზეა. ვინძლო, ქართველმა თავდამსხმელმა ავადსახსენებელი პერიოდი უკან მოიტოვოს და ჩვეულად ათამაშდეს. მასში ხომ თავის დროზე ძალიან დიდ პერსპექტივას და ნიჭს ხედავდნენ...

**კახა ზალამბერიძე**

### 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის X შესარჩევი ჯგუფი

## ჩვენი მეტოქე

# ორთავიანი არწივი არწივს ვოლგოგრადში შეჭამს

**რუსეთი**

**12 ოქტომბრის** საქართველო — რუსეთი ჯერაც წინ გველის, ჩვენი მეზობლები კი ალბანეთთან მოსალოდნელი მატჩის სამზადისისთვისაც იცლიან. შეგახსენებთ, 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის მეათე ჯგუფში, 16 ოქტომბერს გასამართ რუსეთ — ალბანეთის მატჩის ჩატარება რუსებს ქალაქ ვოლგოგრადში სურდათ და, როგორც ჩანს, აისრულებენ კიდეც ჩანაფიქრს. უეფას წარმომადგენლებმა უკვე მოინახულეს ვოლგოგრადის ცენტრალური სტადიონი და კმაყოფილნიც დარჩნენ.

საქმე ისაა, რომ ამ სარბიელზე ჯერაც სარეკონსტრუქციო სამუშაოები ტარდება და აღმოსავლეთ ტრიბუნაზე მხოლოდ 15 900 ადგილია მზად. „დასავლეთი" კი, სადაც სამთავრობო და პრესლოჟებიცაა განთავსებული, ალბანელი გულშემატკივრებისთვისაა გათვალისწინებული. უეფამ სტადიონის მზადყოფნა მოიწონა და მატჩის იქ ჩატარებაც მიზანშეწონილად ჩათვალა.

რუსეთის საფეხბურთო კავშირის ფინანსური დეპარტამენტის დირექტორ ვიქტორ გრუზდევის განცხადებით, მატჩის ბილეთების ღირებულება 50-500 მანეთი იქნება. ბილეთებზე, რომელთაც ამ დღეებში მოსკოვში დაბეჭდავენ, ეროვნული ნაკრებისა და ვოლგოგრადის „როტორის" ნახევარმცველი ევგენი ალდონინი იქნება გამოსახული.

ალბანეთთან წინასამატჩო შეკრებას რუსები „როტორის" ბაზაზე გაივლიან. მთავარი მწვრთნელის ვალერი გაზაევის მოთხოვნით, რუსეთის ნაკრები საქართველოსთან მატჩის შემდეგ დაუყოვნებლივ გაფრინდება ვოლგოგრადში და ალბანელ „არწივებთან" ჯახისთვის მზადებასაც დაიწყებს.

მანამდე კი საქართველო — რუსეთია...

— 12 ოქტომბერს ეს მატჩი აუცილებლად ჩატარდება და თანაც თბილისში. მიუხედავად იმისა, რომ ამ ორ ქვეყანას შორის პოლიტიკურად დაძაბული ურთიერთობაა, რუსეთის საფეხბურთო კავშირი საერთოდ არ აპირებს შეხვედრის შესაძლო გადადებაზე მსჯელობას, ეს გამორიცხულია. დარწმუნებული ვარ, მატჩი შესანიშნავ ატმოსფეროში ჩატარდება, ისიც გავითვალისწინოთ, რას ნიშნავს ფეხბურთი ქართველებისთვის — მერამდენედ განაცხადა რუსეთის საფეხბურთო კავშირის გენერალურმა მდივანმა ვლადიმირ როდიონოვმა.

**კახა ზალამბერიძე**



საქართველომოლეული ვალერი გაზაევი რუსეთს ვოლგოგრადში წაიყვანს



გეპატიჟებით საბილიარდოში!
უმაღლესი ხარისხის მაგიდები და მომსახურება
მუხიანის I მიკრორაიონი, კორპუსი 3ა ტელ.: 630660

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. პირველი ჯგუფური ეტაპი. II ტური. A ჯგუფი

# ამოროზოს გასაღები არ დაუკარგავს

**დორტმუნდი 2:1 ოსერი**

1:0 კოლერი (6), 2:0 ამოროზო (78), 2:1 მვარუვა-რი (83)
დორტმუნდი: ლემანი, ევანილსონი, მეცელდე-რი, ვორონსი, მადრიში, ფრინგსი (რიკენი 74), როზიცკი, კელი, როსიცკი (ამოროზო 66), კო-ლერი, ევერტონი (დედე 84)
მწვრთნელი: მათიას ზამერი
ოსერი: ფაბიან კოლი, რადეტი, ბუმსონგი, მექსეში, ტურე, ფურე, ლაშუერი, ტაინიო, ფადი-გა, მვარუვარი, კაპო
მწვრთნელი: გი რუ
მსაჯი: ტერიე ჰაუგე (ნორვეგია)
48 000 მაყურებელი

**გერმანიას** ნამუსი ბუნდესლიგის მოქმედმა ჩემპიონმა, „დორტმუნდმა" მოწმინდა. მათიას ზამერის გუნდმა გერმანული ფეხბურთის შავი კვირა ფრანგული „ოსერის" ძლევით დაასრულა. არადა, ბევრს ეეჭვებოდა კიდეც ეს კვირა საერთოდ თვედ არ გადაიქცესო, თუმცა ოთხშაბათს „დორტმუნდს" გაუმართლა. და კიდევ — მასპინძლებს იმ დღეს ბრაზილიელი მეგოლე მარსიო ამოროზო დაუბრუნდათ, რომელსაც ხანგრძლივი ტრავმიანობის პერიოდშიც კი მეტოქეთა კარის გასაღები ჯიბეში ედო და „ოსერის" კარსაც იოლად მოარგო. მანამდე ანგარიში ახმახმა ჩეხმა იან კოლერმა გახსნა. ფრანგთაგან კი ერთი გოლი ზიმბაბველმა ბენჟამინ მვარუვარიმ გაქვითა.

— შედეგით კმაყოფილი ვარ. კარგად ვითამაშეთ, განსაკუთრებით პირველ ტაიმში. მერე კი, სამწუხაროდ, მცირე პრობლემები შეგვექმნა, თუმცა მთავარია, გავიმარჯვეთ — განაცხადა ნამატჩევს „დორტმუნდის" თავკაცმა მათიას ზამერმა.

ცხადია, ცუდ გუნებაზე იყო მხცოვანი გი რუ, თუმცა, მისი თქმით, მეტოქემ სამართლიანად მოიგო. მან წინასამატჩო დანაქადიც აასრულა და მასპინძლებს სამი თავდამსხმელით ეთამაშა, მაგრამ გერმანელებმა ფრანგებზე მეტის გატანა შეძლეს და ჯგუფიდან გასვლაზე ფიქრსაც მიეძალნენ.



დორტმუნდი — ოსერი. მასპინძელთა ბრაზილიელმა ევერტონმა და სტუმარმა რადეტმა ფაბიან კოლის კართან ბრძოლა გამართეს

**პსვ ეინდჰოვენი 0:4 არსენალი**

0:1 ჟილბერტო სილვა (1), 0:2 ლიუნგბერგი (66), 0:3, 0:4 ანრი (81, 90)
პსვ ეინდჰოვენი: ვატერეუსი, ბოგელუნდი, ოოიერი, ჰოფლანდი (ვენეგოორ ოფ ჰესელინკი 46), ჰაინცე (ლუსიუსი 61), რომედალი, ვან ბომელი, ფოგელი (ლეონარდუ 27), ბუმა, კეჟმანი ბრუგინკი
მწვრთნელი: გუს ჰიდინკი
არსენალი: სიმენი, ლორენი, კოული (სიგანი 9), კემბელი, კოული, ლიუნგბერგი (ტური 86), ვიეირა, ჟილბერტო სილვა, ვილტორდი, ანრი, ბერგკამპი (კანუ 79)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
მსაჯი: ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)
31 000 მაყურებელი

**კვლავ** შეუჩერებელია „არსენალი". ლონდონელები ქულებს ბლუჯად იხვეჭენ და უკვე რეკორდებსაც დაერივნენ.

აქ ინგლისელთა დაუმარცხებელ სერიაზე არაფერს ვიტყვით; რამეთუ წაუგებელი მატჩების რაოდენობა, ალბათ, თავადაც აღარ ახსოვთ. საქმე კი ბრაზილიელ ჟილბერტო სილვაშია. მსოფლიოს ჩემპიონის მიერ პსვ-ს კარში გატანილი გოლი ჩემპიონთა ლიგის ისტორიაში უსწრაფესი გამოდგა. აქამდე ამ პატივს იტალიური „იუვენტუსის" კაპიტანი ალესანდრო დელ პიერო ფლობდა, რომელმაც 1997 წელს 20,12 წამში გაუტანა „მანჩესტერ იუნაიტედს". ბრაზილიელის რეკორდი კი 20,07 წამია.

ეინდჰოვენელებს წირვა ფრედერიკ ლიუნგბერგმა და ტიერი ანრიმ გამოუყვანეს. მათი შეჩერება ჰოლანდიელებმა ვერ შეძლეს და...



პსვ — არსენალი. ლონდონელი ლორენი ვილფრედ ბუმას მიეწევა და აღარ მოსცილდა

პსვ-ს მაინც ჰქონდა მატჩის გადარჩენის მცირედი შანსი, მაგრამ იუგოსლაველმა ფორვარდმა მატია კეჟმანმა თანაგუნდელები დაალალატა — რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი გაანიავა, ერთხელ კი სულაც პირისპირ გავიდა დევიდ სიმენთან, თუმც ვერც ამ შანსის გამოყენება შეძლო.

„მეთოფეებმა" კი საკონტროლო გასროლა მატჩის ბოლოს მოახდინეს და საბოლოოდ დაასამარეს მასპინძლები. მთელი შეხვედრის მანძილზე აქტიურმა ტიერი ანრიმ ფეხი 81-ე და 90-ე წუთებზე გამოიღო.

ამგვარად, A ჯგუფის კონტურები უკვე გამოისახა. „არსენალი" ცალი ფეხით მეორე ეტაპზეა, პსვ-ს კი დიდი ჯახი მოუწევს გამოფხიზლებულ „დორტმუნდთან". და „ოსერი"? ალბათ, ფრანგები რომელიმეს ცოდვაში ჩადგამენ ფეხს...

**კახა ზალამბერიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 2 | 2 | 0 | 0 | 6:0 | 6 |
| დორტმუნდი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| პსვ ეინდჰოვენი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:4 | 1 |
| ოსერი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |

ჩემპიონთა ლიგა. პირველი ჯგუფური ეტაპი. II ტური. B ჯგუფი

# უიღბლობის საღამო

## სპარტაკი ქირისუფალმაც მიატოვა

**სპარტაკი 0:3 ვალენსია**

0:1 ანგულო (6), 0:2 მისტა (7), 0:3 ხუან სანჩესი (84)
სპარტაკი: ჩერჩესოვი, კოვტუნი (ბარანოვი 46), კებე, ჩუისე, მიტრეიკო, მოიზესი, ხლესტოვი, კუდრიაშოვი, კალინიჩენკო, ბესჩასტნიხი, დანიშევსკი (ფილიპენკო 54)
მწვრთნელი: ოლეგ რომანცევი
ვალენსია: კანისარესი, კურრო ტორესი, აიალა, პელეგრინო, კარბონი, ანგულო (ხუან სანჩესი 74), ალბელდა, ბარახა, ვისენტე (რუფეტე 66), აიმარი, კარევ (მისტა 58)
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
მსაჯი: სტეფან ბრე (საფრანგეთი)
15 000 მაყურებელი

**„სპარტაკმა"** ჩემპიონთა ლიგის რეკორდი დაამხო. რუსთა „სახალხო გუნდმა" ზედიზედ 13 მატჩში ვერ შეძლო გამარჯვება. ცამეტიდან ათი წააგო, სამჯერ კი ფრეს დასჯერდა. აქამდე რეკორდი გლაზგოს „რეინჯერსს" ეკუთვნოდა.

„სპარტაკი" „სახალხო გუნდიდან" სახალხო გლოვის ობიექტად იქცა. თუ ორიოდ წლის წინ ლონდონის „არსენალთან" შეხვედრის სანახავად 80 ათასამდე გულშემატკივარი მივიდა, ახლა 15 ათასამდე ჭირისუფალმა ძლივს მოიყარა თავი და საყვარელი გუნდი ერთხელაც გამოიტირა.

უსახური თამაში და არანაირი პერსპექტივა. აი, დღევანდელი „სპარტაკი". ამიტომაც აღარავის მოუწევს გული მისი თამაშის სანახავად.

მეექვსე წუთზევე გამოჩნდა, რომ ოლეგ რომანცევს საქმე თავზე საყრელი აქვს. პაბლო აიმარმა ანგულოს ბურთი ზუსტად მიაწოდა, ისიც მასპინძელთა ცენტრალური მცველების ზურგსუკან აღმოჩნდა და ჩერჩესოვს გაუტანა.

მასპინძლებმა მცირერიცხოვანი გულშემატკივრის მხარდაჭერით ერთობ მოინდომეს გათანაბრება და პირველი ლიგური გოლის შეგდება, ოღონდ საამისოდ არც ძალა შესწევდათ და არც შემსრულებლები ჰყავდათ.

აჯაგრულმა სპარტაკელმა კებემ ვერაფერი რომ მოიფიქრა, მეტოქე ფეხბურთელებზე გაიწია. არეულობაში მსაჯი სტეფან ბრე ჩაერია და კებე სიტყვიერად გააფრთხილა. მოგვიანებით ბრემ სიტყვა საქმედ აქცია და ჯანყისთვის ყვითელი ბარათი აუფრიალა. აღსანიშნავია, რომ ფრანგი მსაჯი პოლიციის ოფიცერი ყოფილა.

შესვენების შემდეგ რაფაელ ბენიტესმა შეცვლები გამოიცნო. მისტამ და სანჩესმა თითო-თითო კიდევ გაუტანეს ჩერჩესოვს.

ცხადია, ოლეგ რომანცევი, რომელიც ჯერ კიდევ მკურნალობის კურსს გადის, პრესკონფერენციაზე არ გამოცხადდა. მის ნაცვლად თანაშემწემ, ვიქტორ სამოხინმა ისაუბრა: „გუნდი ძალიან ღრმა კრიზისში იმყოფება. კომენტარი, ვფიქრობ, ზედმეტია. თავისი ისტორიის მანძილზე „სპარტაკს" მსგავსი ჩავარდნა არ ჰქონია. „ვალენსიამ" შესაძლებლობის 50 პროცენტი გამოავლინა. რომ დასჭირვებოდათ, ისინი ერთ ამდენს კიდევ გაიტანდნენ."

**ლივერპული 1:1 ბაზელი**

1:0 ბაროში (34), 1:1 როსი (42)
ლივერპული: დუდეკი, კარაგერი, ანრი, ჰიპია, რიისე, ჰესკი (დიუფი 71), მერფი, ჯერარდი, შეიროუ, ოუენი (ბერგერი 79), ბაროში
მწვრთნელი: ჟერარ ულიე
ბაზელი: ცუბერბიულერი, კვენტინი, მ. იაკინი (დუ-რუზი 68), ბარბერისი, ჰ. იაკინი, ესპოზიტო, კანტალუპი, ატუბა, ჰასი, როსი (ტუმი 74), ხიმენესი
მწვრთნელი: კრისტიან გროსი
მსაჯი: დიკ ვან ეგმონდი (ჰოლანდია)
37 634 მაყურებელი

**ცხადი იყო**, რომ „ლივერპული" თავიდანვე ერთი ამოსუნთქვით შეუტევდა და ასეც მოხდა. საწყისი ათი წუთის განმავლობაში სტუმართა კარის ხარიხა ბურთს ორჯერ გამოეხმაურა: ორჯერვე რიისემ დაარტყა. პასკალ ცუბერბიულერის სამფლობელოს — ჯერ, მეკარისთვის მეტად უხერხული, მიწიდან ასხლეტილი ბურთი, თითის წვერებით მოიგერია „ბაზელის" კარის დარაჯმა და ბურთიც ხარიხაზე გადასცურცულდა. მეორედ ცუბერბიულერი არც განძრეულა. სამაგიეროდ, ისევ კარის ჩარჩოს ზედა ნაწილი აზანზარდა.

შვეიცარიელები მეტოქის დაწყნარებას ბურთის დიდხანს ფლობის ხარჯზე ცდილობდნენ, რაც ხანდახან გამოსდიოდათ კიდეც. ოღონდ მხოლოდ ეგ იყო, რაც შეძლეს.

ერთ-ერთ ეპიზოდში ემილ ჰესკიმ გადაცემა ჩაჭრა, იარა, მილან ბაროშთან გაათამაშა და ჩეხმა ფორვარდმა მოულოდნელად და ზუსტად დაჰკრა.

ბაროშს სხვაობის გაზრდაც შეეძლო, თუმც იმ დღეს ცუბერბიულერი თავის მოედანზე სწორად მოძრაობდა. „ბაზელის" მეკარეს მოსვენება მთელი მატჩის განმავლობაში არ ჰქონდა. ხან ჰაერში იყო ჰორიზონტალურად გაჭიმული, ხან წელში მოხრილი დასარტყმელად გამზადებულ ფეხებს ზვერავდა. მის მხარეს იყვნენ ძელ-ხარიხანიც.

სტუმრებმა კი ასე გაათანაბრეს: ესპოზიტომ მცველთა ზურგსუკან შეპარული როსი დალანდა და გამოზომილად ჩააწოდა. არგენტინელმა ბურთი ფეხის წვერზე მიიწება, დუდეკს ფეხებს შუა გახედა და — 1:1.

ეს ტაიმის მიწურულს მოხდა, მაგრამ შესვენებამდე იმავ ბაროშის დარტყმული ძელს მოხვდა.

„ლივერპულმა" მეორე ნახევარი, ისევე როგორც პირველი, რეტისმომგვრელი შეტევებით დაიწყო, მაგრამ „ბაზელის" კარი გოლზე აცრილი იყო.

თანაგუნდელთა დასახმარებლად ჟერარ ულიემ ელ-ჰაჯი დიუფი და პატრიკ ბერგერიც შეუშვა, მაგრამ ამაოდ. ბერგერმა ვერაფრით გამოიჩინა თავი. დიუფმა კი ერთხელ ფეხით, მერე თავითაც სცადა გატანა, მაგრამ რად გინდა.

ჟერარ ულიე: „მომდევნო ორი მატჩი ჩვენთვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. ჯერ კიდევ გვაქვს კარგი შანსი ჯგუფიდან გასვლისა. უიღბლობის საღამო იყო, დიდი ანგარიშით უნდა მოგვეგო. მიუხედავად ამისა, იმ თამაშით, რაც „ლივერპულმა" აჩვენა, კმაყოფილი ვარ. მჯერა, სწორ გზაზე ვდგავართ, რაც მალე შედეგსაც მოიტანს."



სპარტაკი — ვალენსია. მოსკოველი მოიზესი იონ კარევს აცილდა

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვალენსია | 2 | 2 | 0 | 0 | 5:0 | 6 |
| ბაზელი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| ლივერპული | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |
| სპარტაკი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:5 | 0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა



# რომამ აღარ წააგო!

## დიდ კაცთან პატარა კაცსა...

**აეკ 0:0 რომა**

**აეკ:** ხიოტისი, კაშიისი, რაიტი, კოსტენოღლუ, ზაგორაკისი, ცარტასი (მ. პეტკოვი 86), კასაპისი (გეორგატოსი 46), კაცურიანისი, ლაკისი, ნიკოლაიდისი, ივიჩი (ნალიცისი 65)
**მწვრთნელი:** დუშან ბაევიჩი
**რომა:** ანტონიოლი, კუფრე (ძებინა 48), პანუჩი, სამუელი, კანდელა, კაფუ, ლიმა, ტომაზი, ემერსონი, ბატისტუტა (კასანო 90), მონტელა
**მწვრთნელი:** ფაბიო კაპელო
**მსაჯი:** გრემ ბარბერი (ინგლისი)
12 500 მაყურებელი

**დიდება** რომის იმპერიას, ღმერთებს, იმპერატორებს, სენატორებს, მონებს, ლეგიონებს, ბატებს, ძუ მგელს და საერთოდ ყველას და ყველაფერს, რაც ამ მარადიულ ქალაქს უკავშირდება — „რომამ“ აღარ წააგო! ფაბიო კაპელო და მისი ფეხბურთელები უძველესი ცივილიზაციის მეორე ცენტრში, ათენში ჩაბრძანდნენ და აეკ-თან 0:0 ითამაშეს. ეს უკვე წინ გადადგმული ნაბიჯია, რისთვისაც დაცვაში მართლაც ლეგიონებად, მტკიცედ დგომა მოუხდათ.

აღსანიშნავია, რომ მეტოქის კარის ნგრევაზე არც ბერძნები ფიქრობდნენ. მათ ძალიანაც აძლევდათ ხელს რომაელთა მიერ ზურგის გამაგრება, მთავარი იყო არ შეეტიათ. ასე გაიარა ცხოვრების მთელმა 25-მა წუთმა, რის შემდეგაც (ჩვევა მაინც ჩვევაა) შეტევა ისევ სტუმრებმა სცადეს — ვენსან კანდელამ და გაბრიელ ბატისტუტამ აეკ-ის მეკარეს, დიონისის ხიოტისს, ზედიზედ ორი წარმატებული ნახტომის შესრულება აიძულეს.

შესვენების შემდეგ „რომას“, კერძოდ კი ემერსონს, კიდევ ჰქონდა გოლის გატანის შესაძლებლობა, მაგრამ ვერ გამოიყენა, ხოლო ბოლო წუთებში უკვე მასპინძლები გააქტიურდნენ. დიმიტრის ნალიცისის დარტყმული მეკარე ფრანჩესკო ანტონიოლიმ მოიგერია, ხოლო ვასილის ლაკისმა ეპიზოდში, რომელიც მართლა ჰგავდა საპენალტეს, არტისტობაც მოიშველია და მსაჯს თავი იქით გააფრთხილებინა.

თამაშის ბოლო დარტყმა კვლავ კანდელამ მიიწერა. ეს იყო ჯარიმა, რომლიდანაც ბურთი სანტიმეტრებით ასცდა სამ ქულას.

**რეალი 6:0 გენკი**

1:0 ზოკორა (44ა.კ.), 2:0 სალგადო (45), 3:0 ფიგუ (55პ), 4:0 გუტი (65), 5:0 ხელადესი (74), 6:0 რაული (76)
**რეალი:** კასილიასი, სალგადო, იერო, ელგერა, რობერტო კარლოსი (ბრავო 70), ფიგუ, ხელადესი, კამბიასო (მორიენტესი 66), სოლარი, რაული (პორტილიო 77), გუტი
**მწვრთნელი:** ვისენტე დელ ბოსკე
**გენკი:** მოლნა, ვანბიურენი (სოლი 61), ტომაშიჩი, ზოკორა, რუმანი, ბესლია (სუზუკი 83), ვამფორი, სკოკო, დაერდენი, სონკი, დაგანო (დე კამარგო 80)
**მწვრთნელი:** სეფ ვერგოოსენი
**მსაჯი:** ქნუდ ერიკ ფისკერი (დანია)
60 000 მაყურებელი

**„სანტიაგო ბერნაბეუზე“** სტუმრებმა შეიდჯერ დაიწყეს თამაში ცენტრიდან, აქედან ექვსჯერ იმიტომ, რომ გოლი გაუშვეს, ხოლო ერთხელ იმიტომ, რომ თამაშის წესია ასეთი — პირველ ტაიმს აუცილებლად ერთი გუნდი იწყებს, მეორეს — მეორე. მასპინძლებს ანუ „რეალს“ აკლდნენ ფრანგები, ზინედინ ზიდანი და კლოდ მაკელელე, ხოლო რონალდო, რომლის დებიუტსაც ამ შეხვედრაში გეპირდებოდნენ, კვლავ ფეხს იტკივებს და მალიმალ ექიმებს უზის.

აღსანიშნავია, რომ „გენკი“ პირველი ტაიმის ბოლო წუთამდე ყოჩაღად იდგა, თუმცა მეტი ვეღარ გაძლო: ჯერ გუტიმ დაარტყა და დიდიე ზოკორასგან ასხლეტილი ბურთი კარში შეგორდა, ხოლო შემდეგ, მიჩელ სალგადომ გააორა ანგარიში.

შესვენების შემდეგ ათი წუთი რომ მიილია, ლუიშ ფიგუმ პენალტით მესამე გაიტანა — პენალტის დანიშვნის მიზეზი საჯარიმოში ივან ელგერას წაქცევა გახლდათ (ელგერაც კი უტევდა), რასაც დროთა განმავლობაში კვლავ გუტის, ალბერტ ხელადესისა და რაულის შედეგიანი დარტყმები მოჰყვა.

„პირველ ნახევარში ბელგიელები კარგად დაგვიდგნენ — თქვა პრესკონფერენციაზე „რეალის“ თავკაცმა ვისენტე დელ ბოსკემ, რომელსაც რაღაც ხომ უნდა ეთქვა — მინდა აღვნიშნო, რომ საბოლოო შედეგი უფრო ცუდი გამოდგა, ვიდრე ამას „გენკი“ იმსახურებდა. ბელგიური გუნდი ორგანიზებული გახლდათ, მას მხოლოდ ცალკეულ ეპიზოდებში აკლდა დახვეწილობა, ჩვენ კი ავტორიტეტულად ვითამაშეთ და ჩინებული სანახაობაც შევქმენით. კმაყოფილი ვარ საგოლე მომენტების რაოდენობითაც. როდესაც ბევრი გოლის გატანა გსურს, ბევრი მომენტი უნდა შექმნა, ხოლო ყველაფერზე მნიშვნელოვანი ის ექვსი ქულაა, დღეს ცხრილში ჩვენს გასწვრივ რომ წერია.“

და, განა, თქმა უნდა იმას, რომ 0:6 წაგების შემდეგ „გენკის“ თავკაცს, სეფ ვერგოოსენს დანა პირს ძლივს უხსნიდა? „პირველი 43 წუთის შემყურე კმაყოფილი ვიყავი, არც დისციპლინა დაგვწუნებოდა და ისეთი შთაბეჭდილება მქონდა, რომ ერთ გოლს აუცილებლად გავიტანდით. სამწუხაროდ, შესვენების წინ გაშვებულმა ორმა გოლმა გაგვანადგურა. ვცადეთ შეტევით გვეპასუხა, მაგრამ ამან ზურგი მოგვიშიშვლა, რაც „რეალის“ კლასის გუნდთან თამაშისას დამღუპველია. ჩვენ მაღრიდელებს ტალანტითა და ინდივიდუალური ოსტატობით კი, აბა, როგორ უნდა გავეჯიბრებოდით?“ — თქვა მან.

**ბაჩუნა ჭედია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 2 | 2 | 0 | 0 | 9:0 | 6 |
| აეკ | 2 | 0 | 2 | 0 | 0:0 | 2 |
| რომა | 2 | 0 | 1 | 1 | 0:3 | 1 |
| გენკი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:6 | 1 |



აეკ — რომა. გაბრიელ ბატისტუტა ბერძენთა მეკარე დიონის ხიოტისს წმირად არ აწუხებდა



# ექტორის ექო: აიაქსი დიდი გუნდია

## ტრონდჰეიმური ქოსაობა ლიონში

**ინტერი 1:0 აიაქსი**

1:0 კრესპო (74)
**ინტერი:** ტოლდო, ხ. ძანეტი, მატერაცი, კორდობა, პასკუალე, ოკანი (ს. კონსეისაუ 69), დი ბიაჯო (ალმეიდა 65), ემრე ბელოზოღლუ (რეკობა 52), დალმა, ვიერი, კრესპო
**მწვრთნელი:** ექტორ რაულ კუპერი
**აიაქსი:** სტეკელენბურგი (ტიმერი 22), ტრაბელსი, პასანენი (მიდო 80), კოფუ, ვან დამი, გალაშეკი, მაქსველი, ვან დერ მეიდე (პიენაარი 76), ლიტმანენი, იბრაჰიმოვიჩი, სიკორა
**მწვრთნელი:** რონალდ კუმანი
**მსაჯი:** სტიუარტ დუგალი (შოტლანდია)
45 784 მაყურებელი

მატჩის შემდეგ გუნდების დამრიგებლებმა ზუსტად აღწერეს მოედანზე დატრიალებული ამბები.

ექტორ რაულ კუპერი:

„პირველ ტაიმში მთლად კარგად ვერ ვითამაშეთ, შესვენების შემდეგ კი უკეთ გამოვიყურებოდით. ვფიქრობ, კარგი ფეხბურთის ჩვენება მხოლოდ ათი წუთი შევძელით.

ძალიან ვნერვიულობდით, გადაცემებში ბევრი წუნი გვქონდა, ბურთს ვერ ვინარჩუნებდით. მაგრამ ეს მეტოქის ბრალიც იყო, რისთვისაც ქებას იმსახურებს. „აიაქსი“ დიდი გუნდია.

მეტოქეს სწრაფად ვერ ვუკრავდით ხელ-ფეხს, რის გამოც პრობლემები შეგვექმნა, რადგან ჩვენ უაღრესად ტექნიკურ გუნდს ვეპაექრებოდით. მე ვუყურე „აიაქსის“ თამაშს „ლიონის“ წინააღმდეგ — ამსტერდამელები ფანტასტიკურები იყვნენ.

დღეს „ინტერმა“ ძალიან რთული თამაში მოიგო და ასეთი გამარჯვება სამს კი არა, ექვს ქულას უდრის.

დიახ, ალვარო რეკობას გამოყვანის შემდეგ ერთი უმაღლესი კლასის ფორვარდი დაგვემატა, მაგრამ მე ბალანსის დაცვაც მმართებს. იმ სისტემაში, რომლითაც ვთამაშობთ, ადვილი არ არის რეკობასთვის ადგილის გამოძებნა, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ მალე დავიწყებთ სამი შემტევით თამაშს“.

„ინტერის“ არგენტინელი მწვრთნელის ვრცელ საუბარს „აიაქსის“ მოძღვრის მოკლე სიტყვა მოჰყვა.

რონალდ კუმანი:

თამაში ერთადერთი შეცდომის გამო დავთმეთ, არადა, მთელი მატჩი ჩვენი კარნახით მიმდინარეობდა. რასაკვირველია, ჩვენი გუნდი უკეთესი იყო. ბურთს მშვენივრად ვაგორებდით და არანაირი დისკომფორტი არ შეგვქმნია.

წაგების მიუხედავად, იმედი მაქვს, რომ ჯგუფიდან გავალთ. ამ საღამოს მხოლოდ ერთი რამით ვარ გაწბილებული — შედეგით. ვფიქრობ, „აიაქსმა“ ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა“.

პირველ ტაიმში სტუმრებს ორჯერ უნდა გაეტანათ. ჯერ ენდი ვან დერ მეიდემ დაასვა ბურთი თავზე ვიქტორ სიკორას, რომელმაც პირდაპირ ფრანჩესკო ტოლდოს დაუმიზნა. მერე იარი ლიტმანენმა უბოძა ჩინებული გადაცემა ზლატან იბრაჰიმოვიჩს, მაგრამ შვედმა „ინტერის“ მეკარეს ვერ აჯობა.

ერნან კრესპომ კი ალმეიდას გრძელი პასით იხეირა — „ლაციოს“ ფორვარდყოფილმა ჩემპიონთა ლიგის ამ გათამაშებაში მესამედ გაიტანა.

**ლიონი 5:0 რუსენბორგი**

1:0 კარიერი (6), 2:0 ვირული (25), 3:0 ანდერსონი (35), 4:0 ვირული (45), 5:0 ლუიინდულა (76)
სკამელსრუდმა ვერ გაიტანა პენალტი (47, მეკარე)
**ლიონი:** კუპე, დეფლანდრე, მიულერი, კასაპა, ბრეშე, ვიოლო, დიარა, დორასო (დელმოტი 79), კარიერი, ს. ანდერსონი (ჟუნინიო 68), ვირული (ლუიინდულა 72)
**მწვრთნელი:** პოლ ლე გუენი
**რუსენბორგი:** არასონი, სტენსაასი (ლუდვიგსენი 72), ბასმა, ჰოფტუნი (სიბაია 66), საარინენი (ბლიქსტი 84), ოლსენი, სკამელსრუდი, ბერგი, ბრატბაკი, ფ. იონსენი, კარადასი
**მწვრთნელი:** ნილს-არნე ეგენი
**მსაჯი:** ფრანც-ქსავიერ ვაკი (გერმანია)
37 506 მაყურებელი

**მატჩის წინ** პოლ ლე გუენი ნატრობდა, სონი ანდერსონმა სილრმიდან კარგად შეუტიოს და ფორვარდები პასით კარგად მოამარაგოსო.

თუმც მწვრთნელმა ბოლო მომენტში სხვაგვარად განსაჯა და, ფაქტობრივად, ორი პლეიმეიკერით ათამაშა „ლიონი“ — ანდერსონს ერიკ კარიერი შეუწყვილა და ნორვეგიელთა დამცავი ეშელონებიც დაინგრა.

„რუსენბორგს“ ერთი ასპროცენტიანი შანსი მაინც ჰქონდა — 47-ე წუთზე გრეგორი კუპემ ბერტ სკამელსრუდის 11-მეტრიანი მოიგერია.

„ეს იყო გამარჯვება იმ გუნდისა, რომელიც ბოლო ერთი კვირის მანძილზე გაწბილებული გახლდათ — ჩვენამდე ხომ „ლიონმა“ რვა დღეში სამჯერ წააგო. ჩვენ კი ჩემპიონთა ლიგაში თამაშით თავს ვიტყუებთ. დღეს სწორედ ეს დაგვემართა“ — თამამად განაცხადა ნამატჩევს ნილს-არნე ეგენმა.

„მხოლოდ ერთი გამარჯვებით ფონს ვერ გავალთ. წარმატებისთვის მეტი ძალისხმევაა საჭირო. მატჩის პირველი წუთებიდანვე დიდი ნებისყოფა და შემართება გამოვიჩინეთ. სწრაფმა გოლმა კი ბიჭებს თავდაჯერებულობა შემატა“ — სიხარულით ცქმუტავდა ლე გუენი.



ინტერი — აიაქსი. ერნან კრესპო ამსტერდამელთა კაპიტან კრისტიან კივუს მხოლოდ ერთხელ გაექცა

**დავით თავართქილაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| აიაქსი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ლიონი | 2 | 1 | 0 | 1 | 6:2 | 3 |
| რუსენბორგი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:7 | 1 |

# ჩემპიონთა ლიგა 2002-2003
## I ჯგუფური ეტაპი
### ორი ტურის სტატისტიკა

**მეგოლეები**

| | |
|---|---|
| ფილიპო ინძაგი (მილანი) | 5 |
| იაკუბუ აიეგბენი (მაკაბი) | 3 |
| ერნან კრესპო (ინტერი) | 3 |
| ხოსე მარია გუტი (რეალი) | 3 |
| როი მაკაი (დეპორტივო) | 3 |

**საგოლე პასი**

| | |
|---|---|
| მანუელ რუი კოშტა (მილანი) | 3 |
| პაბლო აიმარი (ვალენსია) | 2 |
| ერიკ კარიერი (ლიონი) | 2 |
| რაული (რეალი) | 2 |
| ხუან კარლოს ვალერონი (დეპორტივო) | 2 |

**კარში დარტყმა**

| | |
|---|---|
| ფილიპო ინძაგი (მილანი) | 6 |
| აზარ კარადასი (რუსენბორგი) | 6 |
| როი მაკაი (დეპორტივო) | 6 |
| სონი ანდერსონი (ლიონი) | 6 |
| პაბლო აიმარი (ვალენსია) | 5 |

**კარისკენ დარტყმა**

| | |
|---|---|
| ანდრეს მენდოსა (ბრიუგე) | 7 |
| კრეიგ ბელამი (ნიუკასლი) | 6 |
| ფლორინ ჩერნატი (დინამო) | 6 |
| ოლივიე კაპო (ოსერი) | 6 |
| რივალდო (მილანი) | 6 |

**თამაშგარე**

| | |
|---|---|
| ტიერი ანრი (არსენალი) | 9 |
| იონ კარეუ (ვალენსია) | 7 |
| ფილიპო ინძაგი (მილანი) | 7 |
| მატეა კეჟმანი (პსვ ეინდჰოვენი) | 6 |
| კრისტიან ვიერი (ინტერი) | 6 |

**ყვითელი ბარათი**

| | |
|---|---|
| ფაბიო კანავარო (ინტერი) | 2 |
| ჩირო ფერარა (იუვენტუსი) | 2 |
| დიტმარ ჰამანი (ლივერპული) | 2 |
| ნიკოს კოსტენოღლუ (აეკ) | 2 |
| დმიტრი ლოსკოვი (ლოკომოტივი) | 2 |

**წითელი ბარათი**

| | |
|---|---|
| ფაბიო კანავარო (ინტერი) | 1 |
| დიტმარ ჰამანი (ლივერპული) | 1 |
| დმიტრი ლოსკოვი (ლოკომოტივი) | 1 |
| იაკუბუ (აიაქსი) | 1 |

**ვინ დაჯარიმდა**

| | |
|---|---|
| ზლატან იბრაჰიმოვიჩი (აიაქსი) | 9 |
| მაურო სილვა (დეპორტივო) | 9 |
| ფერდინანდ კოლი (ლანსი) | 8 |
| ბრეტ ემერტონი (ფეიენოორდი) | 8 |
| მატეა კეჟმანი (პსვ ეინდჰოვენი) | 8 |

**ვისზე დაჯარიმდნენ**

| | |
|---|---|
| ჟორჟე ფელიპე (გალათასარაი) | 11 |
| მიხაელ ბალაკი (ბაიერნი) | 10 |
| დემის ნიკოლაიდისი (აეკ) | 10 |
| ჯენარო გატუზო (მილანი) | 9 |
| ვინჩენცო მონტელა (რომა) | 9 |



ფილიპო ინძაგიმ ასე თუ გააგრძელა, ეგებ ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირიც გახდეს

# ერთი, ამათი ხელფასი მოგვცა...

საქართველოს ნაკრების რუსებთან მატჩის ბილეთის ფასი 10-დან 50 ლარამდეა. კი გვიმტკიცებენ, აბა, ეს რა ფულიაო, მაგრამ ხალხი ამბობს, ბევრიაო. ან ხალხი ბევრს და ცოტას ვერ არჩევს, ან ბილეთზე ფასის დამწესებლები დაშორდნენ ხალხს.

სხვაგან რა ფასებია? მაგალითად, ინგლისში სტადიონზე შებიჯება რაც ღირს, ქვემოთ ნახეთ, ოღონდ ორმოცდაათლაროსნები ტყუილად ნუ გაიხარებენ — იქ ხალხს ფულიც ცოტა მეტი აქვს. ცხადია, იმდენი არა, რამდენსაც ფეხბურთელები იღებენ, მაგრამ მაინც. ფეხბურთელები კი რამდენსაც იღებენ, ესეც ქვევით ნახეთ.

ამასთანავე, მხოლოდ ციფრებს რომ ავცდენოდით, პრემიერლიგის კლუბების შესახებ საინტერესო ფაქტებსაც გთავაზობთ





როი კინის ხელფასის პატრონი თბილისის ქუჩებში ასე თავისუფლად ვერ ისეირნებდა

### არსენალი

**მაღალი ხელფასი:** პატრიკ ვიეირა (52 500 გირვანქა კვირაში), ტიერი ანრი (50 000), სოლ კემპბელი (48 500)

**„ჰაიბერიზე" ბილეთის ფასი:** 21-39 გირვანქა

**საინტერესო ფაქტი:** 1927 წლის იანვარში, მსოფლიოში პირველი საფეხბურთო რადიორეპორტაჟი „არსენალის" მატჩიდან გადაიცა.

### ასტონ ვილა

**მაღალი ხელფასი:** დარიუს ვასელი (34 000), ხუან პაბლო ანხელი (31 000), ლი ჰენდრი (29 000)

**„ვილა პარკზე" ბილეთის ფასი:** 15-25 გირვანქა

**საინტერესო ფაქტი:** კლუბის ოქროს ხანა მე-19 საუკუნის 90-იანი წლებია. „ასტონ ვილა" ამ დროს ხუთჯერ (1894, 96, 97, 99, 1900) გახდა ინგლისის ჩემპიონი.

### ბირმინგემ სიტი

**მაღალი ხელფასი:** რობი სევიჯი (22 500)

**საინტერესო ფაქტი:** გუნდი ინგლისის საფეხბურთო ელიტას 17-წლიანი შესვენების შემდეგ დაუბრუნდა.

### ბლექბერნ როვერსი

**მაღალი ხელფასი:** ენდი კოული (35 000), დუაიტ იორკი (34 000)

**„ივუდ პარკზე" ბილეთის ფასი:** 16-26 გირვანქა

**საინტერესო ფაქტი:** კლუბის საპატიო ვიცე-პრეზიდენტები არიან დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ჯეკ სტროუ და ბარონესა მარგარეტ ტეტჩერი.

### ბოლტონ უონდერერზი

**მაღალი ხელფასი:** იური ჯორკაეფი (25 000), მაიკლ რიკეტსი (20 000)

**„რიბოკზე" ბილეთის ფასი:** 20-27 გირვანქა

**საინტერესო ფაქტი:** ერთადერთი ბრიტანული კლუბია, რომელიც სეზონურ აბონემენტებად პლასტიკურ ბარათებს იყენებს.

### ვესტ ჰემ იუნაიტედი

**მაღალი ხელფასი:** პაოლო დი კანიო (38 000), ჯო კოული (33 500), მაიკლ კარიკი (31 000)

**„აპტონ პარკზე" ბილეთის ფასი:** 32-46 გირვანქა

**საინტერესო ფაქტი:** 60-იან წლებში, აშშ-ში ტურნეს დროს გუნდი თამაშობდა „ბალტიმორ ბეიზის" სახელით.

### ლივერპული

**მაღალი ხელფასი:** მაიკლ ოუენი (69 000), ემილ ჰესკი (52 500), სტივენ ჯერარდი (42 000)

**„ენფილდ როუდზე" ბილეთის ფასი:** 22-27 გირვანქა

**საინტერესო ფაქტი:** ოდესღაც „ლივერპულმა" 2:0 დაამარცხა „ნიუტონ ჰითი" და საფეხბურთო ლიგაში თამაშის უფლებაც მიიღო. საინტერესო კი ისაა, რომ „ნიუტონ ჰითს" ახლა „მანჩესტერ იუნაიტედი" ჰქვია.

### ლიდს იუნაიტედი

**მაღალი ხელფასი:** მარკ ვიდუკა (48 000), რობი ფაულერი (42 000), ჰარი კიუელი (40 000)

**„ელანდ როუდზე" ბილეთის ფასი:** 20-35 გირვანქა

**საინტერესო ფაქტი:** „ლიდსი" 60-იანი წლებიდან „გათეთრდა". კლუბის მეპატრონე დონ რევიმ გადაწყვეტილება მადრიდის „რეალის" საპატივცემულოდ მიიღო.

### მანჩესტერ იუნაიტედი

**მაღალი ხელფასი:** როი კინი (72 000), დევიდ ბექემი (70 000), რიო ფერდინანდი (70 000)

**„ოლდ ტრეფორდზე" ბილეთის ფასი:** 18-28 გირვანქა

### მანჩესტერ სიტი

**მაღალი ხელფასი:** პიტერ შმაიხელი (41 000), სილვენ დისტინი (34 000), ნიკოლა ანელკა (34 000)

### ნიუკასლ იუნაიტედი

**მაღალი ხელფასი:** ალან შირერი (42 000), ლორან რობერი (32 000), გარი სპიდი (30 000)

**„სენტ ჯეიმსიზ პარკზე" ბილეთის ფასი:** 26-42 გირვანქა

**საინტერესო ფაქტი:** 1932 წელს „ნიუკასლმა" „საუთჰემპტონს" 9:0 მოუგო, 7 ბურთი კი საწყის 25 წუთში გაიტანა.

### მიდლსბრო

**მაღალი ხელფასი:** ალენ ბოკშიჩი (41 500), მასიმო მაკარონე (30 000), გარეთ საუთგეიტი (26 500)

**„რივერსაიდ სტედიუმზე" ბილეთის ფასი:** 22-32 გირვანქა

**საინტერესო ფაქტი:** კლუბის მაღაზია „ბორო" სიდიდით მეორეა „მანჩესტერ იუნაიტედის" შემდეგ.

### სანდერლენდი

**მაღალი ხელფასი:** კევინ ფილიპსი (26 500), თომას სორენსენი (21 500), ნაილ ქუინი (21 000)

**„ლაით სტედიუმზე" ბილეთის ფასი:** 17-23 გირვანქა

**საინტერესო ფაქტი:** გუნდის მოთამაშეები მე-19 საუკუნეში მხოლოდ მასწავლებლები იყვნენ, ხოლო „სენტ ჯეიმსიზ პარკზე", ახლა რომ „ნიუკასლი" თამაშობს, ადრე „სანდერლენდი" ბურთაობდა.

### საუთჰემპტონი

**მაღალი ხელფასი:** უეინ ბრიჯი (21 000), მარიანს პახარსი (18 000)

**„სენტ მერი სტედიუმზე" ბილეთის ფასი:** 18-27 გირვანქა

**საინტერესო ფაქტი:** ერთი ხანობა „საუთჰემპტონი" საშინაო მატჩებს პორტსმუთში მართავდა, რადგან მის მშობლიურ სტადიონზე მეორე მსოფლიო ომის დროს ჩამოვარდნილმა ყუმბარამ 6-მეტრიანი ღრმული დატოვა.

### ვესტ ბრომვიჩ ალბიონი

**მაღალი ხელფასი:** რონი უოლვორკი (18 000), დანიელ დიჩიო (15 000)

### ფულემი

**მაღალი ხელფასი:** ლუიშ ბოა მორტე (27 000), ლუი საჰა (27 000), იუნიჩი ინამოტო (24 000)

**„კრივენ კოტეჯზე" ბილეთის ფასი:** 16-26 გირვანქა

**საინტერესო ფაქტი:** 1887 წელს, „ფულემ" — „მილუოლის" მატჩი პირველ ტაიმშივე შეწყდა, რადგან თამაშისთვის განკუთვნილი სამივე ბურთი გასკდა.

### ჩარლტონ ატლეტიკი

**მაღალი ხელფასი:** კრის პაუელი (28 000)

**„ველიზე" ბილეთის ფასი:** 20-25 გირვანქა

**საინტერესო ფაქტი:** 20-იანი წლებიდან მოყოლებული, კლუბმა 4 სტადიონი გამოიცვალა. გუნდის თილისმაა ძაღლი ფლოიდი და კატა ჰარვი.

### ტოტენჰემ ჰოთსპური

**მაღალი ხელფასი:** ტედი შერინგემი (27 500), დარენ ანდერტონი (26 500)

**„უაით ჰართ ლეინზე" ბილეთის ფასი:** 22-55 გირვანქა

**საინტერესო ფაქტი:** 1988 წელს პოლ გესქოინმა ლონდონის „არსენალს" ფეხშიშველამ გაუტანა გოლი.

### ჩელსი

**მაღალი ხელფასი:** ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკი (46 000), მარსელ დესაი (43 000), ფრენკ ლამპარდი (34 000)

**„სტამფორდ ბრიჯზე" ბილეთის ფასი:** 26-40 გირვანქა

**საინტერესო ფაქტი:** 1972 წელს „ჩელსიმ" ევროპული თასის მატჩში ლუქსემბურგის „ჟენესი" 21:0 დაამარცხა, სტუმართა გუნდში ერთი ცალხელა ფეხბურთელი თამაშობდა, ერთიც სათვალიანი.

### ევერტონი

**მაღალი ხელფასი:** დანკან ფერგიუსონი (35 000), კევინ კემპბელი (30 000), რიჩარდ რაიტი (30 000)

**„გუდისონ პარკზე" ბილეთის ფასი:** 18.50-26 გირვანქა

**საინტერესო ფაქტი:** 1933 წლის ასოციაციის თასის ფინალში, „ევერტონისა" და „მანჩესტერ სიტის" ფეხბურთელები პირველად გავიდნენ მინდორზე ნომრიანი მაისურებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი & კროკი
## წარმოგიდგენთ

### გერმანია. ბუნდესლიგა. VII ტური
28 სექტემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 001 | კოტბუსი-ვოლფსბურგი | 2,4 | 3,1 | 2,7 | 1,35 | 1,27 | 1,44 |
| 18.30 | 002 | მიუნხენი-ჰერტა | 2,4 | 3,1 | 2,7 | 1,35 | 1,27 | 1,44 |
| 18.30 | 003 | ჰამბურგი-შტუტგარტი | 1,95 | 3,1 | 3,6 | 1,19 | 1,26 | 1,66 |
| 18.30 | 004 | არმინია-შალკე | 2,9 | 3,1 | 2,3 | 1,49 | 1,28 | 1,32 |
| 18.30 | 005 | ჰანზა-ჰანოვერი | 1,75 | 3,1 | 4,4 | 1,11 | 1,25 | 1,81 |
| 18.30 | 006 | ლევერკუზენი-ბაიერნი | 3,1 | 3,1 | 2,2 | 1,54 | 1,28 | 1,28 |
| 18.30 | 007 | დორტმუნდი-გლადბახი | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |

29 სექტემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 008 | ნიურნბერგი-ლაუტერნი | 2,3 | 3,1 | 2,9 | 1,32 | 1,28 | 1,49 |
| 20.30 | 009 | ბოხუმი-ვერდერი | 2,25 | 3,1 | 3,0 | 1,3 | 1,28 | 1,52 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა. VII ტური
27 სექტემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 010 | უნიონი-ფიურტი | 1,85 | 3,1 | 4,0 | 1,15 | 1,26 | 1,74 |
| 22.00 | 011 | ბრაუნშვაიგი-კიოლნი | 3,6 | 3,2 | 1,9 | 1,69 | 1,24 | 1,19 |
| 22.00 | 012 | ვალდჰოფი-სტ.პაული | 1,95 | 3,3 | 3,4 | 1,22 | 1,23 | 1,67 |

29 სექტემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 013 | ლიუბეკი-ბურგჰაუზენი | 1,8 | 3,1 | 4,2 | 1,13 | 1,26 | 1,78 |
| 18.00 | 014 | ალენი-კარლსრუე | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,11 | 1,22 | 1,85 |
| 18.00 | 015 | აინტრახტი-დუისბურგი | 1,6 | 3,2 | 5,6 | 1,06 | 1,24 | 2,03 |
| 18.00 | 016 | ობერჰაუზენი-როიტლინგენი | 1,9 | 3,1 | 3,8 | 1,17 | 1,26 | 1,7 |
| 18.00 | 017 | ტრიერი-ალემანია | 1,75 | 3,0 | 4,7 | 1,1 | 1,27 | 1,83 |

30 სექტემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.15 | 018 | მაინცი-ფრაიბურგი | 2,4 | 3,1 | 2,7 | 1,35 | 1,27 | 1,44 |

### ინგლისი. პრემიერლიგა. VIII ტური
28 სექტემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 042 | ლიდსი-არსენალი | 2,7 | 3,1 | 2,4 | 1,44 | 1,27 | 1,35 |
| 19.00 | 043 | ბოლტონი-საუთჰემპტონი | 2,1 | 3,1 | 3,3 | 1,25 | 1,28 | 1,59 |
| 19.00 | 044 | ჩარლტონი-მანჩესტერი | 5,0 | 3,4 | 1,6 | 2,02 | 1,21 | 1,08 |
| 19.00 | 045 | ჩელსი-ვესტ ჰემი | 1,45 | 3,6 | 6,5 | 1,03 | 1,18 | 2,31 |
| | 046 | ჩელსი-ვესტ ჰემი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 | | | |
| 19.00 | 047 | ევერტონი-ფულემი | 2,35 | 3,1 | 2,9 | 1,33 | 1,29 | 1,49 |
| 19.00 | 048 | სიტი-ლივერპული | 3,0 | 3,1 | 2,25 | 1,52 | 1,28 | 1,3 |
| 19.00 | 049 | სანდერლენდი-ასტონ ვილა | 2,3 | 3,0 | 3,0 | 1,3 | 1,3 | 1,5 |
| 19.00 | 050 | ტოტენჰემი-მიდლსბრო | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,11 | 1,22 | 1,85 |
| 21.30 | 051 | ბირმინგემი-ნიუკასლი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |

30 სექტემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 24.00 | 052 | ვესტ ბრომვიჩი-ბლეკბერნი | 2,4 | 3,1 | 2,7 | 1,35 | 1,27 | 1,44 |

### იტალია. სერია "A". IV ტური
28 სექტემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 100 | იუვენტუსი-პარმა | 1,4 | 3,6 | 7,5 | 1 | 1,17 | 2,43 |
| | 101 | იუვენტუსი-პარმა 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 | | | |
| 23.30 | 102 | ლაციო-მილანი | 2,6 | 2,9 | 2,6 | 1,37 | 1,29 | 1,37 |

29 სექტემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 103 | ბოლონია-პიაჩენცა | 1,75 | 3,0 | 4,7 | 1,1 | 1,27 | 1,83 |
| 18.00 | 104 | ბრეშა-რომა | 3,1 | 2,9 | 2,3 | 1,49 | 1,32 | 1,28 |
| 18.00 | 105 | კომო-რეჯინა | 2,1 | 3,0 | 3,4 | 1,23 | 1,29 | 1,59 |
| 18.00 | 106 | მოდენა-ტორინო | 2,3 | 2,9 | 3,1 | 1,28 | 1,32 | 1,49 |
| 18.00 | 107 | პერუჯა-ემპოლი | 1,8 | 3,0 | 4,4 | 1,12 | 1,27 | 1,78 |
| 18.00 | 108 | უდინეზე-ატალანტა | 2,1 | 2,9 | 3,5 | 1,21 | 1,31 | 1,58 |
| 23.30 | 109 | ინტერი-კიევო | 1,4 | 3,6 | 7,5 | 1 | 1,17 | 2,43 |
| | 110 | ინტერი-კიევო 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 | | | |

### იტალია. სერია "B". V ტური
28 სექტემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 111 | ანკონა-ტერნანა | 1,75 | 2,8 | 5,3 | 1,07 | 1,31 | 1,83 |
| 23.30 | 112 | ბარი-ნაპოლი | 2,3 | 2,7 | 3,3 | 1,24 | 1,35 | 1,48 |
| 23.30 | 113 | კალიარი-ჯენოა | 1,7 | 2,8 | 5,6 | 1,05 | 1,3 | 1,86 |
| 23.30 | 114 | მესინა-ლეჩე | 2,5 | 2,8 | 2,8 | 1,32 | 1,32 | 1,39 |
| 23.30 | 115 | სალერნიტანა-ლივორნო | 2,2 | 2,9 | 3,3 | 1,25 | 1,32 | 1,54 |
| 23.30 | 116 | სამპდორია-კოზენცა | 1,5 | 3,3 | 7,0 | 1,03 | 1,23 | 2,24 |
| 23.30 | 117 | სიენა-ვიჩენცა | 2,3 | 2,7 | 3,3 | 1,24 | 1,35 | 1,48 |
| 23.30 | 118 | ტრიესტინა-პალერმო | 2,6 | 2,7 | 2,8 | 1,32 | 1,34 | 1,37 |
| 23.30 | 119 | ვენეცია-ასკოლი | 1,65 | 2,9 | 6,0 | 1,05 | 1,29 | 1,95 |
| 23.30 | 120 | ვერონა-კატანია | 1,9 | 2,8 | 4,4 | 1,13 | 1,32 | 1,71 |

### ესპანეთი. I დივიზიონი. IV ტური
28 სექტემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 00.30 | 146 | ბეტისი-ბარსელონა (უელვა) | 2,9 | 2,9 | 2,4 | 1,45 | 1,31 | 1,31 |
| 00.30 | 147 | ვალიადოლიდი-რეალი | 4,2 | 3,1 | 1,8 | 1,78 | 1,25 | 1,13 |
| 23.30 | 148 | ალავესი-დეპორტივო | 2,7 | 3,1 | 2,4 | 1,44 | 1,27 | 1,35 |

29 სექტემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 149 | ბილბაო-მალიორკა | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,11 | 1,22 | 1,85 |
| 21.00 | 150 | ატლეტიკო-უელვა | 1,45 | 3,6 | 6,5 | 1,03 | 1,18 | 2,31 |
| 21.00 | 151 | სელტა-მალაგა | 1,7 | 3,1 | 4,7 | 1,09 | 1,24 | 1,86 |
| 21.00 | 152 | ესპანიოლი-სევილია | 2,2 | 3,1 | 3,1 | 1,28 | 1,28 | 1,54 |
| 22.00 | 153 | ოსასუნა-სოსიედადი | 2,3 | 3,1 | 2,9 | 1,32 | 1,28 | 1,49 |
| 21.00 | 154 | რასინგი-ვილიარეალი | 2,0 | 3,1 | 3,5 | 1,21 | 1,27 | 1,64 |
| 23.30 | 144 | ვალენსია-რაიო | 1,3 | 3,8 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,57 |
| | 145 | ვალენსია-რაიო 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 | | | |

### ესპანეთი. II დივიზიონი. IV ტური
28 სექტემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.30 | 156 | კომპოსტელა-ოვიედო | 2,4 | 2,9 | 2,9 | 1,31 | 1,31 | 1,45 |
| 21.30 | 157 | ლეგანესი-სერესი | 2,5 | 2,8 | 2,8 | 1,32 | 1,32 | 1,39 |
| 21.30 | 161 | ლევანტე-ეიბარი | 2,2 | 2,9 | 3,3 | 1,25 | 1,32 | 1,54 |
| 21.30 | 165 | კორდობა-ტერასა | 1,85 | 3,0 | 4,2 | 1,14 | 1,28 | 1,75 |

29 სექტემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15.00 | 155 | ალბასეტე-ელჩე | 1,7 | 3,1 | 4,7 | 1,09 | 1,24 | 1,86 |
| 21.00 | 158 | სალამანკა-ბადახოსი | 1,75 | 3,1 | 4,4 | 1,11 | 1,25 | 1,81 |
| 28.09.02 | 17.25 | 268 | 0:0სლავია; ბლშანი1:1; 2:1ბრნო **სპარტა** V **პრჟიბრამი** 0:0ჟიჟკოვი; ზლინი2:1; 0:1ბანიკი | 1,2 | 5,6 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,58 | : | 1:0 0:0 | 3:0 1:1 | 2:1 3:1 |
| 29.09.02 | 19.30 | 270 | 3:1ბლშანი; ბანიკი2:1; 1:1ჰრადეც კრალოვე **ბოჰემიანსი** V **ზლინი** სიგმა2:1;-1:2პრჟიბრამი; 1:5სლავია | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,11 | 1,22 | 1,85 | : | - | - | - |
| 29.09.02 | 19.30 | 271 | ბუდეიოვიცე5:1; 3:3იაბლონეცი; ტეპლიცე2:1 **ლიბერეცი** V **ბანიკი** სინოტი1:0; 1:2ბოჰემიანსი; პრჟიბრამი1:0 | 1,6 | 3,3 | 5,3 | 1,07 | 1,22 | 2,03 | : | 1:0 0:0 | 3:0 1:0 | 1:0 0:3 |
| 29.09.02 | 19.30 | 272 | 2:1ბრნო; ჟიჟკოვი2:1; 1:2ლიბერეცი **ტეპლიცე** V **ჰრადეც კრალოვე** იაბლონეცი0:0; 1:1სიგმა; ბოჰემიანსი1:1 | 1,6 | 3,1 | 6,0 | 1,05 | 1,26 | 2,04 | : | 4:3 0:3 | - | 0:2 1:1 |
| 29.09.02 | 19.30 | 273 | 1:5ლიბერეცი; სლავია1:3; 0:2სინოტი **ბუდეიოვიცე** V **ჟიჟკოვი** პრჟიბრამი0:0; 1:2ტეპლიცე; სიგმა2:2 | 2,6 | 3,0 | 2,5 | 1,39 | 1,27 | 1,36 | : | - | 2:2 0:2 | 1:1 1:0 |
| 29.09.02 | 19.30 | 274 | 0:1ბანიკი; ბრნო3:2; ბუდეიოვიცე2:0 **სინოტი** V **სლავია** სპარტა0:0; 3:1ბუდეიოვიცე; ზლინი5:1 | 4,0 | 3,2 | 1,8 | 1,77 | 1,24 | 1,15 | : | 1:0 1:3 | 1:1 0:0 | - |
| 29.09.02 | 19.30 | 275 | ტეპლიცე1:2; 2:3სინოტი; სპარტა1:2 **ბრნო** V **ბლშანი** ბოჰემიანსი1:3; 1:1სპარტა; იაბლონეცი0:0 | 1,85 | 3,2 | 3,8 | 1,17 | 1,24 | 1,73 | : | 2:2 2:1 | 1:0 0:0 | 3:0 0:1 |
| 30.09.02 | 19.00 | 276 | 1:2ზლინი; ჰრადეც კრალოვე1:1; 2:2ჟიჟკოვი **სიგმა** V **იაბლონეცი** 0:0ჰრადეც კრალოვე; ლიბერეცი3:3; 0:0ბლშანი | 2,0 | 3,0 | 3,6 | 1,2 | 1,28 | 1,63 | - | 1:0 0:0 | 1:2 1:0 | 0:0 0:0 |

| N | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | სპარტა პრაღა (2) | | 09.03 | 13.04 | 11.05 | 3:0 | 20.10 | 1:1 | 1:0 | : | 25.05 | 23.03 | 03.11 | 3:0 | 17.11 | 23.02 | 27.04 | 7 | 5 | 2 | 0 | 13:3 | 17 | 3 | 1 | 0 | 8:1 | 10 | 2 | 1 | 0 | 5:2 | 7 |
| 2 | სლოვანი ლიბერეცი (1) | : | | 27.04 | 06.04 | : | 11.05 | 20.10 | 2:1 | 17.11 | 16.02 | 23.02 | 16.03 | 2:0 | 03.11 | 5:1 | 25.05 | 7 | 5 | 2 | 0 | 14:5 | 17 | 3 | 0 | 0 | 9:2 | 9 | 2 | 2 | 0 | 5:3 | 8 |
| 3 | სლავია პრაღა (5) | 0:0 | 07.10 | | : | 04.05 | 25.05 | 03.11 | 16.03 | 02.03 | 17.11 | 27.10 | 4:1 | 20.04 | 5:1 | 06.04 | 16.02 | 7 | 4 | 2 | 1 | 17:7 | 14 | 2 | 1 | 0 | 9:2 | 7 | 2 | 1 | 1 | 8:5 | 7 |
| 4 | ნისოუს იაბლონეცი (8) | 27.10 | 3:3 | 09.03 | | 10.11 | 2:1 | 23.03 | 18.05 | 1:0 | 20.04 | 01.06 | 07.10 | 2:1 | 02.03 | 04.05 | 13.04 | 7 | 3 | 4 | 0 | 9:6 | 13 | 3 | 1 | 0 | 8:5 | 10 | 0 | 3 | 0 | 1:1 | 3 |
| 5 | ბანიკი ოსტრავა (6) | 02.03 | 20.04 | 20.10 | 25.05 | | 17.11 | 11.05 | 5:1 | 1:0 | : | 07.10 | 06.04 | 1:0 | 16.02 | 16.03 | 03.11 | 7 | 3 | 1 | 3 | 10:9 | 10 | 3 | 0 | 0 | 7:1 | 9 | 0 | 1 | 3 | 3:8 | 1 |
| 6 | ვიქტორია ჟიჟკოვი პრაღა (3) | 04.05 | 27.10 | 10.11 | 16.03 | 01.06 | | 16.02 | 06.04 | 0:0 | 2:2 | 18.05 | : | 07.10 | 1:0 | 20.04 | 02.03 | 7 | 2 | 3 | 2 | 9:9 | 9 | 1 | 2 | 0 | 3:2 | 5 | 1 | 1 | 2 | 6:7 | 4 |
| 7 | ხმელი ბლშანი (14) | 06.04 | 04.05 | 18.05 | 0:0 | 27.10 | 1:1 | | 01.06 | 16.03 | 02.03 | 20.04 | 1:3 | 10.11 | : | 07.10 | 1:0 | 7 | 2 | 3 | 2 | 6:7 | 9 | 1 | 2 | 1 | 3:4 | 5 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| 8 | ტეპლიცე (7) | 16.02 | 23.03 | 1:3 | 03.11 | 23.02 | 2:1 | 17.11 | | 20.10 | 11.05 | 13.04 | 25.05 | 09.03 | 27.04 | 2:1 | : | 7 | 3 | 0 | 4 | 9:14 | 9 | 2 | 0 | 1 | 5:5 | 6 | 1 | 0 | 3 | 4:9 | 3 |
| 9 | დუკლა პრჟიბრამი (13) | 20.04 | 01.06 | : 2:1 | 23.02 | 23.03 | 13.04 | 1:2 | 04.05 | | 07.10 | 0:0 | 27.10 | 18.05 | 2:1 | 10.11 | 09.03 | 7 | 2 | 2 | 3 | 5:6 | 8 | 2 | 1 | 1 | 5:4 | 7 | 0 | 1 | 2 | 0:2 | 1 |
| 10 | სიგმა ოლომოუცი (10) | 10.11 | 0:0 | 01.06 | : | 09.03 | 23.03 | 1:0 | 27.10 | 27.04 | | 1:2 | 04.05 | 23.02 | 13.04 | 18.05 | 1:1 | 7 | 1 | 4 | 2 | 7:8 | 7 | 1 | 2 | 1 | 3:3 | 5 | 0 | 2 | 1 | 4:5 | 2 |
| 11 | ბობი ბრნო (9) | 1:2 | 0:1 | 11.05 | 17.11 | 27.04 | 03.11 | : | 1:2 | 16.02 | 16.03 | | 02.03 | 06.04 | 25.05 | : | 20.10 | 7 | 2 | 1 | 4 | 9:11 | 7 | 0 | 0 | 3 | 2:5 | 0 | 2 | 1 | 1 | 7:6 | 7 |
| 12 | ბოჰემიანსი პრაღა (4) | 18.05 | 0:1 | 23.02 | 27.04 | 2:1 | 09.03 | 13.04 | 10.11 | 11.05 | 20.10 | 2:3 | | 01.06 | : | 2:3 | 23.03 | 7 | 2 | 1 | 4 | 11:14 | 7 | 1 | 0 | 3 | 6:8 | 3 | 1 | 1 | 1 | 5:6 | 4 |
| 13 | სინოტი სტარე მესტო (11) | 16.03 | 02.03 | : | 16.02 | 13.04 | 27.04 | 25.05 | : | 03.11 | 1:1 | 3:2 | 17.11 | | 20.10 | 2:0 | 11.05 | 7 | 2 | 1 | 4 | 7:11 | 7 | 2 | 1 | 0 | 6:3 | 7 | 0 | 0 | 4 | 1:8 | 0 |
| 14 | ზლინი (ლ) | 01.06 | 18.05 | 23.03 | 1:1 | 1:1 | 23.02 | 09.03 | 07.10 | 06.04 | 2:1 | 10.11 | 20.04 | 04.05 | | 27.10 | 1:1 | 7 | 1 | 3 | 3 | 7:12 | 6 | 1 | 3 | 0 | 5:4 | 6 | 0 | 0 | 3 | 2:8 | 0 |
| 15 | ჩესკე ბუდეიოვიცე (ლ) | 1:3 | 13.04 | 1:3 | 20.10 | 2:1 | : | 27.04 | 02.03 | 25.05 | 03.11 | 09.03 | 16.02 | 23.03 | 11.05 | | 17.11 | 7 | 2 | 0 | 5 | 9:18 | 6 | 1 | 0 | 2 | 4:7 | 3 | 1 | 0 | 3 | 5:11 | 3 |
| 16 | ჰრადეც კრალოვე (12) | 07.10 | 10.11 | 1:1 | 0:0 | 18.05 | 2:3 | 23.02 | 20.04 | : | 06.04 | 04.05 | 1:1 | 27.10 | 16.03 | 01.06 | | 7 | 0 | 5 | 2 | 6:8 | 5 | 0 | 3 | 1 | 4:5 | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | 2 |

# მასწავლებელი ზოგჯერ უბურთო ის და კრუიფი





**1951 წლის** 8 აგვისტოს ვან გაალების ოჯახს მეცხრე ბავშვი, ვაჟი შეეძინა. მშობლებმა, მორწმუნე კათოლიკებმა, ახალშობილს ალოიზიუსი დაარქვეს. თუმცა, როგორც ეს კათოლიკე ევროპულ ოჯახებში ხდება, ერთიორი სახელიც წაუმატეს და საბოლოოდ ალოიზიუს პაულიუს მარია ვან გაალი გამოვიდა. ცხადია, ასეთი გრძელი სახელით მის დასაძახებლად თავს არავინ შეიწუხებდა და მალევე ახალი გამოუნახეს, უბრალოდ — ლუის.

პატარაობაშივე დაბრძენებული კაცივით იქცეოდა თურმე. ნებისმიერ საქმეს სერიოზულად უდგებოდა, იცოდა, რა სურდა და ისიც იცოდა, როგორ მიეღწია. ყველაზე საინტერესო კი ის გახლავთ, რომ შეუპოვრობის ხარჯზე დასახულ მიზანს ყოველთვის აღწევდა.

სკოლაში სწავლისას გულში ფეხბურთელობა ამოიჭრა. ალბათ, მაშინვე გადაწყვიტა, რომ ფეხბურთელის კარიერის დასრულების შემდეგ მწვრთნელობას დაიწყებდა. მანამდე „აიაქსში" უნდა მოხვედრილიყო და 19 წლისამ ესეც შეძლო.

რაოდენ დიდი იყო სიხარული 19 წლის ბიჭისა, როცა იგი „აიაქსის" სელექციონერებმა მოიწონეს და გუნდში აიყვანეს. ვან გაალის ფიქრები კრუიფის მხარდამხარ თამაშს დასტრიალებდა, მაგრამ ამ შემთხვევაში იღბალმა ზურგი აქცია. მან ძირითად შემადგენლობაში ადგილი ვერ დაიმკვიდრა.

დიდხანს მარჩიელობა არ დაუწყია, 1973 წელს ბელგიაში, „ანტვერპენში" გადაბარგდა და კლუბთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

აქვე ვთქვათ, რომ თავდამსხმელი ლუის ვან გაალი რამდენიმე სხვა კლუბსაც სურდა, იგივე ბელგიურ „ლიეჟს" და „ოსტენდეს", ასევე ფრანგულ „ვალანსიენსაც", მაგრამ ლუისმა ანტვერპენი არჩია, რადგან ამსტერდამთან უფრო ახლოს იყო. გარდა ამისა, „ანტვერპენი" იმ დროს საკმაოდ ანგარიშგასაწევი გუნდი გახლდათ, რომელსაც ლეგენდარული გი ტისი წვრთნიდა.

გი ტისი ის კაცია, რომელმაც ბელგიური ფეხბურთის ყველაზე კაშკაშა ეპოქა შექმნა. 14 წლის განმავლობაში ნაკრებს თავკაცობდა. მისი მწვრთნელობისას, 1980-ში, ევროპის ჩემპიონატის ფინალში ბელგიელები გერმანიასთან დამარცხდნენ, 1986-ში კი მსოფლიოში მეოთხე ადგილს გამოჰკრეს ხელი.

მაშინ კი, 1973 წელს, გი ტისი ერთი ჩვეულებრივი, რიგითი მწვრთნელი იყო. ბელგიელს თავისი გუნდის თამაში ვან გაალის გარეშე არ აუწყვია. ჰოლანდიელი იმ ყაიდის ფეხბურთელად მიაჩნდა, შეცვლაზე შესულს გარდატეხის შეტანა რომ შეეძლო. ჰოდა, იჯდა ლუისი სათადარიგოთა სკამზე და ელოდა. გი ტისის აზრით, მას საკმაოდ კარგი დარტყმა ჰქონდა, ტექნიკაც და ბურთის ფლობაც არ დაეწუნებოდა, ტაქტიკურადაც ბრწყინვალედ აზროვნებდა, მაგრამ რაღაც მოუხეშავი იყო. განსაკუთრებით კონტრშეტევებისას ყოფილა სუსტი, სისწრაფეში მოიკოჭლებდა.

ცხადია, ჰოლანდიელი ლეგიონერი სათადარიგოობას არ ეგუებოდა, ის ხომ

## ვან გაალმა გი ტისს სიდედრი ურჩია

აბა, ეგრე ფეხბურთს ვინ თამაშობს? რატომ აწვალებ ბურთს? სად გარბიხართ, სად?! მომაწოდე ერთი ეგ ბურთი, მე თქვენ გაჩვენებთ, როგორი უნდა იყოს ნამდვილი ფეხბურთელი! – „ნამდვილი ფეხბურთელი" 10 წლის ლუის ვან გაალი გახლდათ, ამ სიტყვებით კი მან თანატოლებს მიმართა, როდესაც სპორტული კლუბის, „დე მეერის" სავარჯიშო მოედანზე პირველად შედგა ფეხი და მობურთალი ტოლ-სწორები დაინახა.

ეს ამბავი 60-იანი წლების დასაწყისში ამსტერდამში, ლეგენდარული „აიაქსის" სტადიონის სიახლოვეს მოხდა...

სახელოვანი „აიაქსიდან" გადავიდა „ანტვერპენში". ჰოლანდიაში ორი ფორვარდია, მე და კრუიფიო — უთქვამს ოდესღაც მწვრთნელზე განაწყენებულ ვან გაალს. ყოველ პარასკევს, ტურის მატჩის წინა დღეს, იგი გი ტისთან მიდიოდა და ასე მიმართავდა: „მე თქვენი არ მესმის! თითქოს კარგად ერკვევით ფეხბურთში, ძირითად შემადგენლობაში კი რატომღაც არ მათამაშებთ. მე ხომ გუნდის ლეგიონერებს შორის საუკეთესო ვარ, ბურთის ფლობაში ვერავინ შემედრება!" ბელგიელი კი პასუხობდა: „მართალი ხარ, შვილო, ბურთით ყველაფერი შეგიძლია, მაგრამ უბედურება მხოლოდ ისაა, რომ ბურთს ვერ იღებ."

დრო გადიოდა, ფეხბურთელი გაორმაგებული ენერგიით ვარჯიშობდა, რათა მოქნილობა და სისწრაფე შეეძინა, თუმცა მწვრთნელს თავი მაინც ვერ მოაწონა. გაღიზიანებული ვან გაალი სასოწარკვეთილებაში ვარდებოდა, რომელსაც ცინიზმი ცვლიდა და მომენტს არ უშვებდა გი ტისის გასამასხარავებლად. ერთხელ გასახდელში ასეთი დიალოგი გაუმართავთ: „რას აკეთებთ საღამოს? გვესტუმრეთ, ჩემი სიდედრი მოვა და მასთან საუბარში გაერთობით" — უთქვამს ჰოლანდიელს. „სიდედრი?" — უკითხავს გაკვირვებით ბელგიელს და მიმხვდარა, რომ გაკენწვლას უპირებდნენ: „ჰო, სიდედრი, ის თქვენზე კარგად ერკვევა ფეხბურთში და იქნებ რაღაც-რაღაცეები ისწავლოთ." გი ტისი იუმორთან მწყრალად არ ყოფილა და გვარიანადაც უცინია. არ ეცინებოდა მხოლოდ ლუის ვან გაალს, რადგან მას საკუთარი თავი სერიოზულად მიაჩნდა გუნდის საუკეთესო ფეხბურთელად.

1975 წელს, უეფას თასზე „ანტვერპენი" ბირმინგემის „ასტონ ვილას" გადაეყარა. შინ ბელგიელებმა 4:1 იმარჯვეს, საპასუხო მატჩში კი პირველი ტაიმის ბოლოს 1:0-ს იგებდნენ. გი ტისმა გადაწყვიტა, მოედანზე ჰოლანდიელი ლეგიონერი შეეშვა. გასვლის წინ ვან გაალმა მწვრთნელს ჰკითხა, როგორ ვითამაშოო. როგორც ყოველთვისო — მიიღო პასუხად. ამან ისე გააცოფა ფეხბურთელი, რომ თავის კარიერაში ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა.

„რამდენი გნებავთ ამ ფეხბურთელში? — ეკითხებოდნენ ინგლისელები ნამატჩევს სტუმრებს — ჩვენ გვსურს, რომ უახლოეს შაბათს მან ჩვენს გუნდში ითამაშოს". აი, ასე იყო და, გი ტისიც მიხვდა, რომ ჰოლანდიელი ჩამოსაწერი არ გახლდათ.

ლუის ვან გაალის ბელგიური კარიერა 1978 წელს დასრულდა. სულ „ანტვერპენის" შემადგენლობაში 42 მატჩი ჩაატარა და 7 გოლი გაიტანა.

შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა. ჯერ „ტელსტარში" სცადა ბედი, მერე როტერდამის „სპარტაში" იყო, საბოლოოდ კი კარიერა 1987 წელს, „ალკმაარში" დაამთავრა.

პარალელურად წარმატებით დაასრულა სწავლა ფიზაღზრდის აკადემიაში. „სპარტაში" თამაშისას შეთავსებით სკოლაში ფიზკულტურას ასწავლიდა და იმდენად მომთხოვნი იყო, რომ როგორც მოსწავლეებისგან მოითხოვდა, ზუსტად ისევე ასრულებდა თვითონაც ყველა ვარჯიშს. საქმისადმი სერიოზული დამოკიდებულების გამო კოლეგებს შორის უდიდესი პატივისცემით სარგებლობდა.

37 წლისამ საბოლოოდ გადაწყვიტა მწვრთნელობა. ერთი წელიწადი ყოფილ კლუბში, „ალკმაარში" გაატარა, მაგრამ ნამდვილი საქმიანობა 1988 წლის პირველ იანვარს დაიწყო, როცა „აიაქსში" დაბრუნდა. 1991-ში ლუის ვან გაალი „აიაქსის" მთავარ მწვრთნელად დაინიშნა და მეორე წელსვე უეფას თასი აღმართა. კიდევ ერთი წელი და, ქვეყნის თასი მოიგო, 1994 წელს კი გუნდი ჰოლანდიის ჩემპიონი გახადა. მომდევნო ორი წლის განმავლობაში მეორე და მესამე ადგილებს დასჯერდა, ხოლო 1995 დახუნძლული გამოდგა: ჩემპიონთა ლიგა, სუპერთასი და საკონტინენტთაშორისო თასი — აი, ლუის ვან გაალის მონაგარი.

საიდან მივიდა ის თაობა „აიაქსში"? სწორედ იმ სამი წლის განმავლობაში (1988-1991) ლუის ვან გაალი ამზადებდა მათ სახელოვან საფეხბურთო სკოლაში. ვარჯიშების და მომზადების საკუთარი მეთოდები მან ჯერ კიდევ სწავლისას ჩამოაყალიბა, რომლითაც შემდგომში ხელმძღვანელობდა. ამ მეთოდების ნაყოფიერებაზე კი შედეგები თავისთავად მეტყველებს.

მისთვის წვრილმანები არ არსებობს, ყურადღებას აქცევს სხვათათვის უმნიშვნელო დეტალებსაც კი. მოზარდებმა იცოდნენ, რომ არის ასეთი კაცი, მათი აღმზრდელი და ძირითად გუნდში თამაში თუ გსურს, ყველა მისი მითითება უნდა შეასრულო.

ბოლო სეზონში „აიაქსმა" ვერაფერი მოიგო. 1997 წლის 1 ივნისს ლუის ვან გაალმა ამსტერდამი დატოვა და „ბარსელონას" ჩაუდგა სათავეში. კრუიფისეულ „ბარსელონას" გულშემატკივრები გამარჯვებებს იყვნენ მიჩვეულნი და, ცხადია, ვან გაალისგანაც იგივეს მოითხოვდნენ. პირველ სეზონში მათ ჩემპიონობა და თასი მიიღეს, მომდევნოში პრიმერადივიზიონში ისევ გაპირველდნენ, მაგრამ ჩემპიონთა ლიგაში კიევის „დინამოსთან" ორჯერ შერცხვნენ. გუნდმა აჩხაბაჩხა თამაში დაიწყო, შთამბეჭდავ გამარჯვებებს მოულოდნელი მარცხი მოსდევდა და ვითარებაც აიწეწა. მწვრთნელს და ზოგიერთ ფეხბურთელს შორის შავმა კატებმა დაიწყეს სიარული, რასაც 22-წლიანი მმართველობის შემდეგ „ბარსელონას" პრეზიდენტის, ხოსე ნუნიესის წასვლა მოჰყვა. მის კვალს დაადგა მწვრთნელიც და ასე გასრულდა კატალონიური ამბავის პირველი ნაწილი.

დღეს, ეროვნულ ნაკრებში განცდილი კრახის შემდეგ, ლუის ვან გაალს კატალონიელები კიდევ ერთხელ ენდნენ. ჰოლანდიელი განუყრელი პასტა-ფურცლით ისევ ამაყად დააბიჯებს „კამპ ნოუს" მინდვრის კიდესთან და არც გოლით გამოწვეული სიხარულის გამოხატვის ერიდება. ჯერჯერობით კარგად მიდის, მაგრამ საკმარისია, ფეხი დაუცდეს, რომ...

**ვაჟა ხუციშვილი**





ლუის ვან გაალმა ქომაგებს გამარჯვება შეჰფიცა და ფეხბურთელების წვრთნას შეუდგა

# გერმანელები იტყვიან „უემბლი ჩვენია!“



ახალი „უემბლი“ ასეთი იქნება

**„უემბლის“** რეკონსტრუქციის თაობაზე წამოწყებული რამდენიმეწლიანი დავა როგორც იქნა, დასრულდა და მშენებლობა უახლოეს ხანში დაიწყება.

მანამდე კი ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი ადამ კროზიე, დიდი ბრიტანეთის კულტურის მინისტრი ტესი ჯოველი და ორგანიზაცია SPORT ENGLAND-ის მმართველი ტრევორ ბრუკინგი საზოგადოებრივ სასამართლოს რეკონსტრუქციის პროექტს წარუდგენენ.

სამშენებლო პროექტის მიხედვით, რომელიც არქიტექტორმა ლორდ ფოსტერმა შეადგინა, სტადიონი 90 ათას გულშემატკივარს დაიტევს, ხოლო ცნობილ ტყუპ კოშკს ტრიუმფალური თაღი შეცვლის. ფოსტერის პროექტით სტადიონზე სარბენი ბილიკები გათვალისწინებული არ არის, რის გამოც არქიტექტორს ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა. თუმცა თუ გავითვალისწინებთ, რომ სარბენი ბილიკები „უემბლიზე“ მაყურებელთა რაოდენობას 68 ათასამდე შეამცირებს, შესაძლოა, ამ პრობლემას დიდად აღარ გამოეკიდონ.

რეკონსტრუქცია სულ 750 მილიონი გირვანქა დაჯდება და პროექტის მთავარი ინვესტორი გერმანული „WESTDEUTCHE LANDESBANK“ იქნება, რომელიც ახალი „უემბლისთვის“ 425 მილიონ გირვანქას გაიღებს.

ამ საქმეში გერმანული ბანკის მონაწილეობამ ალაშფოთა ინგლისელთა ამაყი გულები, რომელთაც კარგად ახსოვთ ორი წლის წინ „უემბლიზე“ გამართული ბოლო შეხვედრა, სადაც მათი ნაკრები სწორედ გერმანელებმა დაამარცხეს 1:0. თვითონ ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია კი ამ პროექტს 150 მილიონი გირვანქით შეეწევა, რაც 50 პროცენტით მეტია, ვიდრე თავიდან ჰქონდა განზრახული.

მშენებლობისთვის საჭირო დანარჩენ თანხას ლონდონური სამშენებლო კომპანია დაფარავს.

ეროვნული ლატარეიდან შემოსული 120 მილიონი გირვანქა კი უკვე მოხმარდა მშენებლობას. ამ თანხით ის ადგილი შეისყიდეს, სადაც სტადიონი მდებარეობს.

**ლუკა ბიბილაშვილი**

# ებრაელები ახალ სამშობლოს ეძებენ

**ისრაელი** ფაქტობრივად საომარ მდგომარეობაშია, ებრაულ კლუბებსა და ნაკრებს კი მეტოქეები ჰყავთ მისაღები. როგორც უკვე იცით, ჩემპიონთა ლიგაში ჰაიფას „მაკაბი“ სტუმრებს კვიპროსზე მასპინძლობს, უეფას თასზე კი თელ ავივის „ჰაპოელი“ და „მაკაბი“ საშინაო მატჩებს სოფიაში ჩაატარებენ.

ნაკრების საკითხი ჯერჯერობით არ გადაწყვეტილა. ყველაზე რეალური ვარიანტი რუმინეთია. ხვათა შორის, ისრაელის ფეხბურთის ფედერაციამ ლონდონის „ტოტენჰემ ჰოთსპურსაც“ მიმართა თხოვნით, ევრო 2004-ის შესარჩევი მატჩებისთვის „უაით ჰართ ლეინი“ დაგვითმეთო (თავის დროზე „დეზები“ სწორედ ებრაელებმა დააარსეს), თუმც უარი მიიღო. ასე რომ, ებრაელებს დღესდღეობით საუკეთესოდ რუმინეთის ვარიანტი მიაჩნიათ.

მზადყოფნა გამოთქვეს რუმინული ფეხბურთის მმართველებმაც. იქაური ფედერაციის გენერალური მდივნის კრისტიან ბოიოლარეს თქმით, ისრაელს ყველა პირობას შეუქმნიან: „რუმინეთი თავის უახლოეს მატჩს 16 ოქტომბერს ლიხტენშტაინში ატარებს. ასე რომ, პრობლემა არ იქნება, ებრაელებს შეუძლიათ ჩვენთან ითამაშონ“ — განაცხადა ბოიოლარემ.

ისრაელი 16 ოქტომბრამდე 4 დღით ადრე სტუმრად კვიპროსს ეთამაშება. გარდა რუმინეთისა, ისრაელის ნაკრების საშინაო მატჩებს შესაძლოა სლოვენიამ ან საფრანგეთმა უმასპინძლონ.

**სერგი ძორიძე**

# ცუდი ვექილი და კარგი დიბი რეალი გიჟის წინააღმდეგ



„ოლიმპიამ“ ლიბერტადორესის თასი მოიგო და ფიფას დამარცხებაც უნდოდა

**გუშინდელ** „სარბიელში“ პარაგვაულ გუნდზე, „ოლიმპიაზე“ მოგახსენებდით. ის სამხრეთ ამერიკის ლიბერტადორესის თასის მფლობელია და 3 დეკემბერს, ტოკიოში, საკონტინენტთაშორისო თასისთვის ევროპის ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულს, მადრიდის „რეალს“ უნდა გაეჯიბროს.

მოგახსენებდით იმასაც, რომ „ოლიმპიას“ ფიფასთან გაუმწვავდა ურთიერთობა. კლუბმა მსოფლიო ფეხბურთის ბატონების წინააღმდეგ სამოქალაქო სარჩელი შეიტანა და პასუხად რისხვა მიიღო: ფიფამ სამ დღეში სარჩელის უკან წაღება უბრძანა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი საკონტინენტთაშორისო თასიდან გაგდებით დაემუქრა.

და, აი, ცნობილი გახდა, რომ „ოლიმპიას“ ახირებულმა პრეზიდენტმა, ოსვალდო დომინგეს დიბმა თითი მოკვკა. მან განაცხადა, რომ ფიფას არგენტინელ ვიცე-პრეზიდენტს, ხულიო გრონდონასა და სამხრეთ ამერიკის საფეხბურთო კონფედერაციის თავკაცს, ნიკოლა ლეოსს სარჩელის სასამართლოდან გამოტანა უკვე აღუთქვა.

„არ მინდა ამ თემაზე კიდევ მოვისმინო რამე. წინა კვირაში გრონდონასა და ლეოსს ველაპარაკე და თუ ჩვენი კლუბის ვექილს ფურცლის წამოღება დაავიწყდა, ჩემი ბრალი არ არის.“

ახლა კი დავაზუსტოთ, რის გამო ატყდა დავიდარაბა. საქმე იტალიაში, კერძოდ, „ვენეციაში“ მოთამაშე მცველს, რუბენ მალდონადოს ეხება. „ვენეციამ“ მალდონადო თავისუფალი აგენტის სტატუსით წაიყვანა, ანუ მასში კაპიკიც არ გადაუხდია, რამაც, როგორც ჩანს, ზემოხსენებული ოსვალდო დომინგეს დიბი გაალიზიანა და მალდონადოსთვის ბავშვობიდან ფეხბურთის სწავლებაში დახარჯული ძალისა და ცოდნის კომპენსაცია მოათხოვინა. ერთი სიტყვით, „ოლიმპიას“ პრეზიდენტს ბოსმანისწინა ეპოქაში დაბრუნება მოუნდა.

არის კიდევ ერთი საკითხი: „ოლიმპია“ ბრაზილიურ „ინტერნასიონალს“ თავისი ყოფილი კაპიტნის, ხულიო სესარ ენკისოს სატრანსფერო ფულს თუ ფულის ნაწილს სთხოვს.

შეგახსენებთ, რომ „ოლიმპიამ“ ლიბერტადორესის თასი ბრაზილიურ „სან კაეტანოსთან“ ორმატჩიან ჭიდილში მოიგო. ამ ორი შეხვედრის ჯამური ანგარიში 2:2 გახლდათ, რის გამოც, გამარჯვებული პენალტებით გამოვლინდა.

და ბოლოს: გასულ კვირაში, აქ უკვე ორჯერ ნახსენები ოსვალდო დომინგეს დიბი 50 ათასი დოლარით დააჯარიმეს.

მიზეზი: ლიბერტადორესის თასზე გამარჯვების შემდეგ გახარებულმა პრეზიდენტმა შეჯიბრების ორგანიზატორებს ჯილდოს ოფიციალურად გადაცემა არ აცალა, ეტაკა და ხელიდან გამოგლეჯვა სცადა.

**ბაჩუნა ძიძია**




# აბა, ქალიც მსაა

ევროპაში სატრანსფერო სეზონი ხომ დაიხურა? აბა, ესპანურმა „რაიო ვალეკანომ“ ახალი ფეხბურთელი როგორღა იყიდა?

არადა, ფაქტია!

ახალ ფეხბურთელს მილენ დომინგუში ჰქვია, თუმცა მას ჩვენ უფრო ქალბატონ რონალდოდ ვიცნობთ. ის 22 წლისაა და დღეიდან მაისამდე „რაიოს“ ქალთა გუნდში ითამაშებს – აბა, მილანურ „მონცაში“ ხომ არ დარჩებოდა. არც მადრიდისავე „ატლეტიკოში“ გადავიდა, როგორც სავარაუდო იყო.

მაგრამ ყველაზე საინტერესო ამბავი აქ იწყება. საქმე ისაა, რომ ესპანეთში, ქალთა ფეხბურთში უცხოელებს არ აჭაჭანებენ. ესე იგი...

ესე იგი, მილენი „რაიოში“ მხოლოდ ამხანაგურ მატჩებში ითამაშებს. და კლუბს ამით რა? რეკლამა, ბატონებო, რეკლამა. რეკლამა კი ფულია.

ცნობისთვის: ყოფილი მოდელი დომინგუში რონალდოს 1999 წელს შეუუღლდა.

სარბიელი
სამუშაოდ იწვევს
გაზეთში ნამუშევარ დამკაბადონებელს
მიღება მოხდება შერჩევით
მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის“ რედაქციაში,
ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული,
15-დან 18 საათამდე.
ცნობებისთვის დარეკეთ 39-48-29, 38-11-14

იყიდება
ბინა ინდივიდუალური პროექტით აშენებული
რვაბინიანი სახლის მესამე სართულზე
საცხოვრებელი ფართი 250მ².
დამხმარე ფართი 80მ² პირველ სართულზე
ფასი შეთანხმებით
ირაკლი აბაშიძის გამზირი №7
კინოთეატრ "სულიაოსთან"
☎ (231) 7 17 58
ქუთაისში



რაგბი

28 სექტემბერი. 17 საათი

## ირლანდია – საქართველო

დუბლინი. «ლენსდაუნ როუდი»



კიტ ვუდი

# ირლანდია არხეინობს

## გვახსოვს საქართველო და 70:0

*ირლანდიის ნაკრების მწვრთნელმა ედი ოსალივანმა ადრე ნათქვამი გუშინაც გაიმეორა, ერთი შეხედვით, საქართველოს ნაკრები რუსეთისაზე ძლიერიაო. ოსალივანის ნათქვამში ახალი და მოულოდნელი არაფერია, ისევე, როგორც მისეულ მატჩისწინა პროგნოზში: მხოლოდ გამარჯვება და 2 ქულა, სხვა შედეგის გაგონება არც მინდა.*

**ძნელია,** არ დაეთანხმო ოსალივანს, რაც უნდა ოპტიმისტი იყო. საქართველოს ნაკრები დუბლინში წინასწარაა განწირული. ბორჯღალოსნებმა იციან, რომ წასაგებად მიდიან.

მაშ, საქართველოს რაღა? რა და, ჩვენები ამ მატჩს რუსებთან ჯახის გენერალურ რეპეტიციად გამოიყენებენ. მთავარია, ვინმე ისე არ დაიმტვრეს, რუსებთან ვერ ითამაშოს.

ბორჯღალოსნები დღეს ჩავლენ დუბლინში და საღამოს „ლენსდაუნ როუდის" ხასხასა გაზონს შეაჩვევენ ფეხს. კაცმა რომ თქვას, შესაჩვევიც ბევრი არაფერია. ირლანდიური რაგბის მექა „ლენსდაუნ როუდი" ჩვენებისთვის კარგად ნაცნობი ალაგია. ოთხი წლის წინ ბორჯღალოსნებმა იქ — ირლანდიასთან (0:70) და რუმინეთთან (23:27) ითამაშეს.

ირლანდიელებს დღესაც კარგად ახსოვთ მაშინდელი ირლანდია — საქართველო. ალბათ, ამიტომაც, კელტების სავარჯიშო ბაზაზე სრული სიმშვიდე და არხეინი ვითარებაა. „სამყურებს" ვერც წარმოუდგენიათ, რომ სასწაული მოხდება და ქართველებთან წააგებენ.

„პროგნოზები არ მიყვარს, მაგრამ 40 ქულით მოვიგებთ. საქართველო ვერაა იმ დონის გუნდი, ბოლომდე გვებრძოლოს. პატივს ვცემ მეტოქეს, მაგრამ ეს რეალობაა და ვერაფერს იზამ" — თქვა ირლანდიელთა ლიდერმა რონან ოგარამ. ოგარა მსუბუქად კია დაშავებული, მაგრამ ხვალ მაინც ითამაშებს.

გუშინ არ უვარჯიშია მსოფლიოს საუკეთესო მორაგბეს კიტ ვუდს. იგი რუსეთში ნატკენ კისერს უფრთხილდება და მისიანთა ვარჯიშს მოედნის კიდიდან უყურებდა. მოცლილი რომ დაინახეს, ირლანდიელმა ჟურნალისტებმა მასაც ათქმევინეს ერთი-ორი სიტყვა: „საქართველოს ნაკრებს ცუდად ვიცნობ. სამაგიეროდ, რამდენიმე ქართველის თამაში მინახავს. განსაკუთრებით ცაბაძე დამამახსოვრდა. მას მოედანზეც შევხვედრივარ, როცა „კასტრში" თამაშობდა. მატჩის შემდეგ გამოველაპარაკე კიდეც. ქართველებთან იოლი მატჩი არ იქნება, მაგრამ გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება. ამაში დარწმუნებული ვარ. რაც შეეხება ჩემს ტრავმას, არც ისე სერიოზულია. მატჩამდე, ალბათ, მომირჩება და მეც ვითამაშებ".

ვინიცობაა, ვუდმა ვერ ითამაშოს, ოსალივანმა უკვე გამოუძებნა შემცვლელი. მელოტი ვუდის ადგილს სათადარიგო შეინ ბირნი დაიკავებს. სათადარიგო სკამზე კი ბირნის მაგივრად ფრენკ შენაჰანი დაჯდება.

გამორიცხული არაა, ოსალივანმა მორაგბეებისა და ჟურნალისტების თხოვნა გაითვალისწინოს და ძირითად შემადგენლობაში ერთი ცვლილება მოახდინოს. საქმე ისაა, რომ ირლანდიელთა უპირველეს მექულეს (327) დევიდ ჰემფრიზს ერთი კეპილა აკლია, გამთამაშებლის პოზიციაზე ნაკრებში ჩატარებული მატჩებით ლეგენდარულ ჯეკ კაილის რომ გაუტოლდეს. კაილიმ ნაკრების ათნომრიანი მაისურა 46-ჯერ მოირგო.

დევიდ ჰემფრიზი: „ბედნიერი ვიქნები, თუ კაილის გავუტოლდები. ყოველთვის ვცდილობდი, მისთვის მიმებაძა და მისებრ მეთამაშა. მგონი, საქართველოსთან შეცვლაზე მაინც შევალ და კაილის რეკორდს გავიმეორებ".

ჰემფრიზი ერთ-ერთია, ვინც საქართველოს ნაკრებს ოთხი წლის წინ დაუპირისპირდა. სარეკორდოდ შემზადებულმა დევიდმა მაშინდელი მატჩიც გაიხსენა და მომავალზეც ისაუბრა: „მახსოვს, ის შეხვედრა იოლად მოვიგეთ. მას შემდეგ წლები გავიდა და როგორც ვიცი, საქართველოც გვარიანად მოძლიერდა. რამდენიმე ძლიერი მორაგბე ჰყავს, თუმც ეს იმას არ ნიშნავს, რომ გამარჯვება ოდნავ მაინც გაგვიჭირდება. ევროპაში მხოლოდ ექვსი ერის წევრებს შეუძლიათ, ერთმანეთს თანაბრად ეთამაშონ. დანარჩენები ძალიან ქვევით არიან და ჩვენამდე ბევრი უკლიათ. მთავარია, შაბათს სანახაობრივი რაგბი გამოდგეს, თორემ რუსებთან, სანამ მოედანზე შევიდოდი, კინალამ ჩამეძინა".

**ბაჩო სვანიძე**



დევიდ ჰემფრიზი

კალათბურთი

## დუდუ დადიანის ხსოვნის ტურნირი



*გუშინ ბოლო ათწლეულის გამორჩეული ქართველი კალათბურთელისა და სპორტული მოღვაწის, დუდუ დადიანის ხსოვნის ტურნირს ჩაეყარა საფუძველი. ამიერიდან ყოველი სეზონის წინ გავლილი ჩემპიონატის ექვსი საუკეთესო გუნდი თბილისის „ვითასა" და საქართველოს ნაკრების კაპიტნის, შემდგომში კალათბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის დუდუ დადიანის სახელობის თასს გაითამაშებს*

**აზოტი 79:78 თსუ**

**დინამო 105:55 მაკაბი**

გუშინ ტურნირის პირველი დღე იყო და გათამაშებაში ოთხი გუნდი ჩაება. „აზოტი" თსუ-ს შეხვდა, „დინამო" — „მაკაბის".

პირველ წყვილთან ერთად A ჯგუფში ბათუმის „ბასკოა", B-ში კი მეორე წყვილთან ერთად „სტუ-ჯეოსელია".

ქართული კლუბები უკეთეს საჩუქარს ვერც ინატრებდნენ. სეზონთშორის პერიოდში თითოეულმა საფუძვლიან საკადრო ცვლილებები განიცადა და ჩემპიონატის ზღურბლზე ჩინებული შესაძლებლობა ეძლევათ თავისა და მეტოქეების გამოსაცდელად.

ვინ როგორ გამოიყენებს ამ ტურნირის, მომავალი გვიჩვენებს, ჩვენ კი გუშინ მომხდარზე გეტყვით. „დინამო" — „მაკაბიზე" ბევრიც არაფერია სათქმელი, ლევან მოსეშვილის გუნდი რომ ჩემპიონობის უპირველესი კანდიდატი იქნება, აქედანვე ჩანს. კიდევ უფრო გაძლიერებულმა „დინამომ" ოფლმოუდენლად სძლია „მაკაბის", რომელსაც ამ ზაფხულს ოთხი კალათბურთელი (წოწელია, აკოლაშვილი, კონჯარია, ნინოშვილი) „დაუთმო". თავად კი პირველად გამოსცადა ლიტველი ტომას მისკუნასი, რომელსაც დაიტოვებს თუ არა, მოსეშვილის გადასაწყვეტია.

„აზოტი" — თსუ კი ნაღდი ჯახი გამოდგა. ამგვარად დაძაბული მატჩები ალბათ მომავალ ჩემპიონატშიც იშვიათი იქნება. პირველიდან ბოლო წუთამდე ანგარიში თითქმის თანაბრობდა და გამარჯვებულის ვინაობაც ბოლოსწინა წამზე გაირკვა.

მატჩის მიმდინარეობას არ ჩავუღრმავდებით, აქცენტს ზოგად სურათზე გავაკეთებთ, რომელიც სტუდენტთათვის ერთობ უსიამოვნოა.

რატომ? იმიტომ, რომ „აზოტი", ფაქტობრივად, სხვა აღარაფერია, თუ არა ერთგული ლიდერი რამაზ გოგობერიშვილი, რომელსაც გვერდში „აზოტის" ასევე ერთგულნი — ზაზა გაბისონია და მიხეილ ბერუაშვილი უდგანან. ბოლო ორი შარშანდელივით ვერაა, რამაზი კი ჩვეულად ლიდერობს. რუსთაველთა შორის ახალგაზრდები სჭარბობენ, რომელთა გარჯამაც ამ მატჩის ბედი გადაწყვიტა.

რუსთაველთა ძლევა თსუ-ს დარ გუნდს არ უნდა გასჭირვებოდა. უფრო სუსტმა თსუ-მ შედარებით ძლიერ „აზოტს" წინა სეზონში ორჯერ მოუგო და სტუდენტების გუშინდელი მარცხი სწორედ რომ განახლებული შემადგენლობის ბრალია, რომელსაც ყველა შეამჩნევდა, შეთამაშება აკლდა. ქვემოქართლელთა სიძლიერეც ხომ „სიძველეშია" — ეს ხალხი ბავშვობიდან ერთად მოდის და ისეთი რამეები, როგორიც ბოლო მეოთხედში სამი ძირითადის გარეშე დარჩენაა, მათზე დამღუპველად არ მოქმედებს. არადა, რუსთაველებს სწორედაც სამი კალათბურთელი გაუგდეს და მათ შორის რამაზ გოგობერიშვილიც, თუმც არაერთი გულშემატკივრისთვის უცნობი გვარ-სახელის მქონე ყმაწვილებმა გამოცდილი შემადგენლობის მყოლი თსუ მაინც დაამარცხეს.

**ირაკლი ბერტაია**

ხელბურთი

# თბილისმა პატრონი იპოვა



[illegible] ფოტო

კახა კალანდაძე (მარჯვნივ) და „თბილისი" ერთმანეთს მამუკა მჟავანაძემ გააცნო

**კარგა ხანია,** წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა გუნდები ამა თუ იმ სპორტულ საზოგადოებას ეკუთვნოდნენ და ამდენად, ვარჯიშ-შეჯიბრებებისთვის სახელმწიფო დაფინანსება გარანტირებული ჰქონდათ. ახლა სხვა ვითარებაა — საკუთარ პრობლემებს ყველამ თავად უნდა მიხედოს. შეძლებული მეპატრონის ძებნა-ლოდინში ზოგი კლუბი სულაც დაიშალა, ზოგმა ასე თუ ისე თავი გაიტანა და მომავალს წელგამართული უყურებს.

ხელბურთის კლუბ „თბილისზე" მოგახსენებთ, რომელიც სამი წელია, დამოუკიდებლად არსებობს და ეროვნულ სარბიელზე წარმატებითაც ასპარეზობს — საქართველოს ვიცე-ჩემპიონია. ჩამოყალიბების დღიდან გუნდს უძღვებიან ყოფილი ხელბურთელები — ელიზბარ არსენაშვილი, მამუკა მჟავანაძე და ზაზა კალანდაძე. ამ დღეებში კი ხელმძღვანელობას მთავარი ფიგურა — პრეზიდენტი შეემატა, 35 წლის კახა კალანდაძე, ცხადია ხელბურთელი, თბილისის „ბურევესტნიკისა" და საქართველოს ნაკრების ყოფილი მოთამაშე. ბატონი კახა ათ წელზე მეტია, რუსეთში, კერძოდ, ეკატერინბურგში საქმიანობს. მართალია, თბილისში ხშირად ჩამოსვლას ვერ ახერხებს, მაგრამ, როგორც გვითხრა, მეგობრებთან რეგულარული სატელეფონო კონტაქტი აქვს და აქაური სახელბურთო მდგომარეობის საქმის კურსშია. სამშობლოში ამჟამინდელი, ორიოდღიანი სტუმრობაც გუნდის წევრებთან გასაცნობად გამოიყენა, ბიჭებს ლამაზი სათამაშო ფორმა აჩუქა და უახლოეს ხანში მეტსაც შეჰპირდა:

— ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯია. მალე გუნდს სრული ეკიპირებისა და ბურთებით მომარაგების საკითხს მოვუგვარებ, ვეცდები, არც მომავალში შეექმნათ საშეკრებო-საშეჯიბრო პრობლემები, რათა მხოლოდ ვარჯიშსა და თამაშზე იფიქრონ. დარწმუნებული ვარ, მაშინ შედეგიც „თბილისისთვის" სასურველი იქნება.

მიზნები კი კლუბს ამბიციური აქვს — ისეთი გუნდის შექმნა, რომელიც ეროვნულ ასპარეზზე პირველობისთვის იბრძოლებს და ევროთასებზეც ერთიორი ეტაპის გავლას შეძლებს. ყველაფერ ამის მიღწევას თბილისელები საკუთარი ძალებით აპირებენ.

— „თბილისის" დევიზია, გუნდში მხოლოდ ჩვენმა აღზრდილმა ხელბურთელებმა ითამაშონ — ამბობს მამუკა მჟავანაძე — შემუშავებული გვაქვს სამწლიანი პროგრამა, რომლის განხორციელებითაც დღევანდელ 15-16 წლიანთა ჩვენივე ჯგუფიდან რეგულარულად მივიღებთ შევსებას, მერე კი ახლანდელი ათი-თორმეტ წლიანებიც დაფრთიანდებიან...

**გია ახალაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა





# დღეს ჩემი დაბადების დღეა!

**SPARKASSEN CUP INTERNATIONAL DAMMEN TENNIS GRAND PRIX**
ლაიპციგი. ხალიჩა
საპრიზო 585 000 $

**პირველი წრე**

**სილვია ფარინა ელია (7, იტალია) — ფრანჩესკა სკიავონე (იტალია) 6:4, 6:7 (2:7), 6:2; ალექსანდრა სტივენსონი (აშშ) — დენიზა ჩლადკოვა (ჩეხეთი) 6:4, 4:6, 6:2**

**მეორე წრე**

**სერენა უილიამსი (1, აშშ) — ანკა ბარნა (გერმანია) 6:1, 3:6, 6:1; მეგან შონესი (აშშ) — ელენა დოკიჩი (2, იუგოსლავია) 6:2, 6:4; ჟუსტინ ენენი (3, ბელგია) — ივეტა ბენეშოვა (ჩეხეთი) 6:7 (4:7), 7:6 (7:5), 6:2; დანიელა ჰანტუხოვა (5, სლოვაკეთი) — რიტა გრანდე (იტალია) 6:4, 2:6, 7:6 (7:3)**

უცნაურია, მაგრამ სერენა უილიამსს, ვინაც გუშინ 21 წლისა შესრულდა, კაკალი ანუ სეტი ამჯერად პირველსავე წრეში გააგდებინეს. ამის გაკეთება ადგილობრივთა იმედმა ანკა ბარნამ იკისრა, როცა წაგებული პირველი ხელის შემდეგ მძვინვარე მეტოქეს თამამად მიეძალა და ბლომად უხეშ შეცდომა დააშვებინა. მისი ალაგმვა და მატჩის მისთვის საჭირო კალაპოტში ჩაბრუნება სერენამ გადამწყვეტ სეტში მოახერხა, როცა დროებითი წარუმატებლობით გაშმაგებულმა გერმანელს ფიორა შანსიც აღარ მისცა და ისე უბრაგუნა, სული არ მოათქმევინა. ასე და ამგვარად — უმცროსი შავდა მე-8 საწლევანდლო ტიტულის ძიებას აგრძელებს.

ამ ტიტულის მოძიებაში მას, ვინვინ, მაგრამ სანდომიანი სექსიუგი ელენა დოკიჩი კი ველარ შეეცილება. წლეულს ორი ტიტულის მომგები და ზეპურთაგან ყველაზე მეტ ტურნირში,ნაპაექრები სერბი შეკრულმა და მტკიცე ამერიკელმა, მეგენ შონესიმ აოტა, თანაც ისე შთამბეჭდავად და უეჭველად, რომ დამირის ბარაქიან ასულს მისთვის ჩოგნის შებრუნებაც არ უცდია.

წაგებული სეტის შემდეგ ორის უკუგება მოუხდა ციდა ბელგიელ ჟუსტინ ენენს, მისი თვისტომი და შარშანდელი ჩემპიონი კიმ კლაისტერსი კი საქმეში გუშგვიან უნდა ჩართულიყო.

**CAMPIONATI INTERNAZIONALI DI SICILIA**
პალერმო. თიხა
საპრიზო 381 000 $

**პირველი წრე**

**მარსელო რიოსი (1, ჩილე) — რუბენ რამირეს იდალგო (ესპანეთი) 6:2, 6:4; დავიდ სანჩესი (6, ესპანეთი) — რიშარ გასკე (საფრანგეთი) 6:2, 2:0 (გასკემ შეწყვიტა); ხუან ანტონიო მარინი (კოსტა რიკა) — სტეფანო გალვანი (იტალია) 7:6 (7:4), 6:4; ფერნანდუ მელიგენი (ბრაზილია) — ირჟი ვანეკი (ჩეხეთი) 6:2, 5:7, 6:2; სარგის სარგსიანი (სომხეთი) — ფილიპო ვოლანდრი (იტალია) 4:6, 7:6 (7:5), 6:1; ატილა სავოლტი (უნგრეთი) — ოლივერ გროსი (გერმანია) 7:5, 0:6, 7:5**

**მეორე წრე**

**ფერნანდო გონსალესი (2, ჩილე) — ალბერტ მონტანესი (ესპანეთი) 6:4, 6:4; ალბერტო მარტინი (7, ესპანეთი) — ფრანკო სკილარი (არგენტინა) 6:1, 7:5**

ტურნირის ჩილელმა მთავარმჩოგნეებმა — მარსელო რიოსმა (1) და ფერნანდო გონსალესმა (2) ესპანელ მეტოქეებს მოუღეს ბოლო. პრესკონფერენციაზე გონსალესს სხვათა შორის იმასაც დაეკითხნენ, რიოსისთვის ჩილელთა ფალავნობის წაგვრას თუ გეგმავო. ამ კითხვას მან ასეთი პასუხი გასცა:

„ამას ჩემთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. მე მირჩევნია, მსოფლიოშიც მეორე ვიყო, ვიდრე ჩილეში მეპირველეს მსოფლიო რეიტინგსიაში 45-ე ადგილი მეკავოს“.

რაგინდარა ტიტული რიოსს უკვე ერთი წელია, აღარ მოუნაგრავს. ბოლოჯერ მან (პალერმოულის პარალელურად მიმდინარე და თქვენს თვალთახედვაში ოდნავ ქვევით მოსახვედრ) ჰონკონგურ ტურნირზე იხეირა. წლეულს მას ორი სამაგარსაფრო სარბიელის — მაიამური მასტერს- და ვაშინგტონური არამასტერსტურნირის ნახევარფინალებში თამაში დაექვეხება. პირველგან მას ანდრე აგასი მოერია, მეორეგან კი პარადორნ შრიჩაფანი. მისი წლევანდელი სათიხნარო მონაგარი უმნიშვნელოა — მხოლოდ რვა თამაში და ხუთი მოგება.

რაც შეეხება გონსალესს, მონტანესის ძლევით მან უკანასკნელ 14 შეხვედრაში 11 გამარჯვება დაიგროვა და საბოლოოთვეო მოგონებებიდან ყველაზე ტკბილად ცინცინატური მასტერსტურნირის ნახევარფინალსა და აშშ-ის ღია პირველობის მეოთხედფინალში თამაში გაახსენდება.

**SALEM OPEN**
ჰონკონგი. პარდი
საპრიზო 400 ათასი $

პირველ დღეს გარღვეულმა ზეცამ სანალექო აპკი არც ოთხშაბათს გამოიკერა და მოუმთავრებელი შეხვედრების რიცხვს საერთოდაც დაუწყებელი მატჩების კაი ბარაქიანი რაოდენობაც დაერთო. ამიტომაც ორი ვარიანტია — ხვალ ან ძალიან ბევრი ლაპარაკი მოგვიწევს, ან ისევ გაუკეთავ აპკს შევეხებით. თუ მეორე ვარიანტი გამოვიდა, მაშინ საზეგაოდ კიდევ ორი ვარიანტი გვექნება და ასე შემდეგ — გაუთავებლად.

**ლევან ძილაურაძე**

# ყველას თავისი ქართული უყვარს

## ლეიტონ ჰიუიტისთვის ეროვნული ფანტასტიკაა

**ლეიტონ ჰიუიტი** კაც მეჩოგნეთა ამქრის უსტაბაში კი გახლავთ, მაგრამ ბავშვობაში ჩოგბურთზე მეტად თურმე ავსტრალიური ბურთაობა ეოცნებებოდა.

ავსტრალიური ბურთაობა ერთი ხალისიანი, გიჟმაჟი და ოზეთში უაღრესად პოპულარული თამაშია, რომელშიც ერთმანეთს ორი 18-კაცა გუნდი ეპაექრება და რომლის არსიც იმაში მდგომარეობს, რომ ბომბორა ბურთი რაგბისებრ მაღალძელა კარში ფეხის მძლავრი დაკვრით უნდა შეაგდო. მეტოქის შეჩერება რაგინდარა საშუალებითაა დაშვებული და მისი თამაში საცხოო ფიზიკურ მზადყოფნას მოითხოვს.

წლევანდელი მეუიმბლდონე „ადელაიდა კროუს“ ქომაგი ყოფილა და თავისი ჯილა კლუბის მაისურა გასულ პარასკევ-უქმეებზე ავსტრალია-ინდოეთის სადევისშესახლელო მოთელვისას ემოსა. მისდა სამწუხაროდ, მისიანებს კოლინგვუდელებმა აჯობეს და დიდ ფინალში, რომელიც ამ შაბათს მელბურნის 90-ათასიან „კრიკეტ გრაუნდზე“ გაიმართება, „კროუსის“ მაგიერ „ბრისბენს“ სწორედ „კოლინგვუდ მეგპისი“ უნდა შეერკინოს.

ჯილების დამარცხების მიუხედავად, ჰიუიტს ახლა არაფერი ისე არ აინტერესებს, როგორც ეს მომავალი ფინალი.

„სიყრმისას ვნებიანი მობურთალი ვიყავი — ამბობს ის — ახლაც, სადაც უნდა ვიყო, ვცდილობ, წამითაც არ ჩამოვრჩე ბურთაობის ლიგაში მიმდინარე და კონკრეტულად „კროუსთან“ დაკავშირებულ მოვლენებს“.

„ერთი სული მაქვს, ფინალს დავესწრო. პირველად სეზონის უმთავრეს მატჩს შარშან დავესწარი და უნდა გითხრათ, რომ ამას ბევრი ვერაფერი შეედრება — ეს ფანტასტიკაა“.



ლეიტონ ჰიუიტი საყვარელი გუნდის მაისურით

ბურთაობისადმი სიყვარული პატარა ლეიტონს მამამისმა, გლენმა გაუღვივა, რომელიც 70-იან წლებში მელბურნულ კლუბში თამაშობდა და არცთუ ურიგო მობურთალად მიიჩნეოდა. ბომბორა ბურთს მომავალი მეჩოგნე ჩემპიონი ექვსი წლიდან დასდევდა და 13-14 წლამდე სხვა არც არაფრის გაგონება სურდა. გარდატეხა მხოლოდ გარდატეხის ასაკში მოხდა, როცა ლეიტონმა იგრძნო, რომ უფრო დიდი მომავალი მას საჩოგბურთო კორტზე ელოდა...

კვირას მან „კროუსის“ მიერ მოწყობილ საქველმოქმედო მატჩში იმონაწილევა და გარდა იმისა, რომ სამი გოლის შეგდება შეძლო, მეტოქეთა არაერთი ხისტი და სატრავმე ბოჭვაც ჩაუქად აირიდა.

„უდიდესი მობურთალი ნაღდად არა ვარ, მაგრამ იმ ხალხის გვერდით თამაში, რომელთაც ბავშვობიდან ვაღმერთებდი, არაფერი სჯობსო“, ამბობდა მერე.

ჰიუიტის დარად ეროვნული ბურთაობის გამორჩეული ტრფიალი ყოფილა 1987 წლის მეუიმბლდონე ავსტრალიელი პატ კეშიც, რომლის მამა პატრიკ უფროსიც 50-იან წლებში „ჰოუთორნის“ ღირსებას იცავდა.

# ჩემი ფეხები!

## რკინისქალამნიანი მარტინა ჰინგისი სასამართლოსაც აგებს



**მარტინა ჰინგისისა** და მისი ოდინდელი სპონსორის, სპორტული ტანსაცმლის მწარმოებელ სერჯო ტაკინის შორის მიმდინარე დავაზე ადრეც გვისაუბრია. 21 წლის შვეიცარიელი მეჩოგნე უკვე რახანია ჩივის, რომ ტაკინის უვარგისმა პროდუქციამ მას ფეხები დაუზიანა, ხოლო ამის შედეგად მიღებულმა ტრავმებმა წარმატებული კარიერა გაუმრუდა.

ყველაფერი 1996 წელს დაიწყო. ჰინგისსა და ტაკინს შორის გაფორმდა 5-წლიანი კონტრაქტი, რომლის თანახმადაც მეჩოგნეს მხოლოდ სპონსორის სამოსი უნდა ეცვმოდა, ხოლო სანაცვლოდ 5,6 მილიონი დოლარი უნდა მიეღო. 1999 წელს ტაკინმა ჰინგისს მილანის სასამართლოში უჩივლა, რაკიღა შვეიცარიელი გოგონა კონტრაქტის პირობებს არღვევდა და კორტზე ოდენ ტაკინის სამოსით აღარ ცხადდებოდა.

ტაკინის სარჩელის საპასუხოდ ჰინგისის წარმომადგენლებმა მილანის სასამართლოში კონტრსარჩელი შეიტანეს და სპონსორს უვარგისი სპორტული ფეხსაცმლის მოწოდება დააბრალეს, რომელიც თურმე ჩოგბურთელის ჯანმრთელობაზე მავნე ზეგავლენას ახდენდა.

ამავე სარჩელით ჰინგისმა 2001 წლის ივნისში ნიუ იორკის სასამართლოსაც მიმართა.

და, აი, ამ დღეებში იქაურმა სასამართლომ განსაჯა, რომ მას არა აქვს უფლება, ჰინგის-ტაკინის საქმე განიხილოს, რაკიღა იმავე საქმის განხილვა ჯერ მილანელ მსაჯულებს არ დაუსრულებიათ.

„ეს იქნებოდა უსამართლო, უკანონო და მიუღებელი, თუკი მოპასუხე მხარეს თავის დაცვას ჩვენთან ვაიძულებდით“ — უთქვამს ნიუიორკელ მოსამართლეს.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ სიმართლე ჰინგისმა ისევ მილანში უნდა ეძიოს. ეგ არის და ეგ!

**ლევან ძილაურაძე**




მონრეალის მთავარი იმედი მეკარე ჟოზე თეოდორია

# ვიდრე ყველაფერი თავიდან დაიწყება

## აღმოსავლეთ კონფერენცია

### ჩრდილო-აღმოსავლეთის დივიზიონი

#### ბოსტონ ბრიუინსი

**მოვიდნენ:** მცველები ბრაიან ბერარდი, რიჩ ბრენანი; მეკარე სტივ შილდსი; ფორვარდი მიხალ გროშეკი.

**წავიდნენ:** ფორვარდი ბილ გერინი; მეკარე ბაირონ დაფო

*2001-02: 101 ქულა და პირველი ადგილი დივიზიონსა და კონფერენციაში. პლეი ოფში პირველი რაუნდიდან გავარდა.*

მას შემდეგ, რაც წინა სეზონში ბოსტონმა უდიდეს პროგრესს მიაღწია (მანამდე ორჯერ პლეი ოფს მიღმა დარჩა), გუნდის ქომაგები ოპტიმისტურად ხვდებიან ახალ ჩემპიონატს, თუმცა აღმოსავლეთის ელიტაში დასამკვიდრებლად „დათვებს" დიდი ჯაფა ელით.

ზაფხულში გუნდი ორმა წამყვანმა მოთამაშემ დატოვა, ბილ გერინმა და ბაირონ დაფომ. შესაბამისად, საკმაო თანხა დაიზოგა. ამიტომაც ბევრი ფიქრობდა, რომ კლუბში ახალი, სახელიანი მოთამაშეები მივიდოდნენ. მოხდა კი სხვაგვარად — „დათვების" ბოსებმა დიდი გულგრილობა გამოიჩინეს სატრანსფერო ბაზარზე, რაც ერთობ გაუგებარია. თუნდაც ეს ორი მეკარე, სტივ შილდსი და ჯონ გრემი, ძალიან ბევრ კითხვას ბადებს. თუმცა ბოსტონი, წესით და რიგით, პლეი ოფში უნდა მოხვდეს.

#### ბუფალო სეიბრსი

**მოვიდნენ:** ფორვარდები იოპენ ჰეხტი, ჯეისონ ბოტერილი.

**წავიდნენ:** ფორვარდები ვაჩესლავ კოზლოვი, ერიკ რასმუსენი; მცველი რიხარდ შმეჰლიკი.

*2001-02: 82 ქულა და მე-5 ადგილი დივიზიონში. პლეი ოფში ვერ გავიდა.*

ზაფხულში ბუფალოს რომ პრობლემები დაატყდა, ღმერთმა ყველას აშოროს. ლამის ბოლო დღემდე ყველაფერი ბურუსით იყო მოცული. მკვეთრად შეიზღუდა ბიუჯეტი და მუხლჩავად ლოგის მამების დამიმედებელი სიტყვებისა, სულაც არაა გამორიცხული, გუნდი სხვა ქალაქში გადაბარგდეს. ცხადია, ასეთ ვითარებაში საკადრო პოლიტიკა თითქმის ჩაიშალა.

არადა, ბუფალოს თავდასხმის გაძლიერება ძალიან სჭირდებოდა.

იოპენ ჰეხტის გუნდში მისვლა საქმეს ნამდვილად ვერ უშველის.

#### მონრეალ კანადიენსი

**მოვიდნენ:** ფორვარდები მარიუშ ჩერკავსკი, რენდი მაკეი.

**წავიდნენ:** ფორვარდები სერგეი ბერეზინი, არონ ეშამი, შონ ვან ალენი, კრეიგ დარბი

*2001-02: 87 ქულა და მე-4 ადგილი დივიზიონში, პლეი ოფში მე-2 რაუნდში გავიდა.*

არც მონრეალს აკლდა სეზონის წინ პრობლემები, მაგრამ გუნდმა ძირითადად მოაგვარა ყველაფერი და შემადგენლობაც გააძლიერა — სნაიპერი ჩერკავსკი და ძლოვანი მაკეი ძალიან ბევრს შემატებენ შეტევას, თუმცა მონრეალის მთავარი იმედი მაინც წინა სეზონის აღმოჩენა, მეკარე ჟოზე თეოდორია. სწორედ მასთან ახალ კონტრაქტზე დავა გახლდათ გუნდის ხელმძღვანელობის თავსატკივარი, მაგრამ ყველაფერი სასიკეთოდ დასრულდა. თანხა, რომელიც თეოდორმა მოითხოვა, გამოინახა და გუნდმა მშვიდად დაიწყო მზადება ჩემპიონატისთვის. იმედია, მონრეალელები შეინარჩუნებენ გასული სეზონის სულისკვეთებას, რომელმაც ბევრს ბრწყინვალე წარსული გაახსენა.

#### ოტავა სენატორსი

**მოვიდნენ:** ფორვარდი შონ ვან ალენი; მცველი ბრაიან პოტიე.

**წავიდნენ:** ფორვარდები შონ მაკიჩერნი, ბილ მაკოლტი, იუჰა ილონენი

*2001-02: 94 ქულა და მე-3 ადგილი დივიზიონში, პლეი ოფში მე-2 რაუნდში გავიდა.*

ბოლო წლებში ოტავას გარკვეული იმიჯი შეექმნა. ჟან მარტენის გაწვრთნილი გუნდი ძალიან მართვადი, დისციპლინირებული და სწრაფი კოლექტივია, რომელსაც პლეი ოფში გასვლა სულაც არ უჭირს. თანაც ეს ის გუნდია, რომელსაც კონფერენციაში პირველი ან მეორე ადგილის მოპოვება ხელეწიფება, მაგრამ პლეი ოფში გუნდური მექანიზმი თითქოს იშლება და სერიოზული წარმატებები არ ჩანს. სპეციალისტთა აზრით, ძირითადად ეს იმის ბრალია, რომ სენატორებს ფიზიკური ძალა და სიხისტე აკლიათ. თუმც მარტენს არაფრის შეცვლა არ სურს. ის კი მაინც უნდა შევნიშნოთ, რომ წინა პლეი ოფში ოტავამ გადადგა ნაბიჯი წინ — გასცდა პირველი რაუნდის ბარიერს. ვნახოთ, რა იქნება წლეულს.

#### ტორონტო მეიფლ ლივსი

**მოვიდნენ:** მეკარეები ედ ბელფორი, ტრევორ კიდი; მცველი რობერტ შვეჰლა; ფორვარდები ტომ ფიცჯერალდი, აარონ გევი.

**წავიდნენ:** მეკარეები კერტის ჯოზეფი, კორი შვები; მცველები დმიტრი იუშკევიჩი, ნატან დემსი.

*2001-02: 100 ქულა და მე-2 ადგილი დივიზიონში. პლეი ოფში ნახევარფინალში გავიდა.*

ოთხი წლის განმავლობაში პირველად იწყება სეზონი, რომელსაც ტორონტოს ქომაგები, მეტი რომ არ ვთქვათ, განგაშით ხვდებიან. ზაფხულში ხომ გუნდი დაცვის საყრდენმა დმიტრი იუშკევიჩმა და, რაც მთავარია, მეკარე კერტის ჯოზეფმა დატოვეს. ამიტომაც ბევრი „ნეკერჩხლის ფოთლებს" თასის ერთ-ერთ მთავარ მაძიებლად აღარ მიიჩნევს.

ამ სიტუაციაში ჯოზეფის მემკვიდრე ედ ბელფორზე უაღრესად ბევრი რამ იქნება დამოკიდებული. 1999 წლის თასის ტრიუმფატორის (მაშინ ბელფორი დალასში ასპარეზობდა) ბოლოდროინდელმა თავგადასავლებმა, რომლებიც არამც და არამც არ უკავშირდება ჰოკეის, მის სათამაშო დონეზე არასასიკეთოდ იმოქმედა, მაგრამ თუ „არწივი" ახალ გარემოცვას მისთვის ადრე ჩვეული სიფხიზლით გაამხნევებს და საუკეთესო ფორმას დაიბრუნებს, ევებ 2002 წლის ზაფხული ქომაგებმა სიამოვნებითაც კი გაიხსენონ. ასეა თუ ისე, პლეი ოფში გასვლის პოტენციალი გუნდს ახლაც აქვს.

**სამველ ლარიბიანი**




ედ ბელფორი ტორონტოს კარში კერტის ჯოზეფს შეცვლის



ვუელტა 7 - 29 სექტემბერი

# ბორბლიანი ფინიში სანტიაგო ბერნაბეუზე

## ულრიხი ტელეკომს შემოსწყდა




ანჯელო ფურლანი

REUTERS

**საერთო** ჩათვლაში გამარჯვების პრეტენდენტებისთვის მეჩვიდმეტე ეტაპი არც არაფრის მომცემი და არც არაფრის წამრთმევი იყო. ვაკე-ეტაპები, ველოსპორტში ოდნავ მაინც ჩახედული კაცისთვისაც კი, რომელიმე სპრინტერის გულის გასახარად და საბოლოო ფინიშთან, რომელიც, სხვათა შორის, „სანტიაგო ბერნაბეუს" სტადიონზეა დანიშნული, ასიოდე კილომეტრით მისაახლოებლად არის მოგონილი.

ბენავენტე-სალამანკას 145-კილომეტრიანი ეტაპი იღბლიანი გამოდგა იტალიელი ანჯელო ფურლანისთვის. საუკეთესო სპრინტერის ნომინაციაში გამარჯვების ორ ყველაზე ნაღდ პრეტენდენტთან, ერიკ ცაბელთან და ალესანდრო პეტაკისთან სამკვდრო-სასიცოცხლო ჯახში ფურლანმა იმარჯვა და ვუელტაში თავისი პროგრამა-მაქსიმუმიც შეასრულა.

ამ ეტაპს კი სხვა, მართალია, ჩუმი, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი ქვეტექსტი ჰქონდა. საქმე ის არის, რომ მომდევნო მთის ეტაპს ალბათ ყველაზე მთავარ კითხვაზე უნდა გაეცა პასუხი. კერძოდ: შეძლებს თუ ვერა ამჟამინდელი ლიდერი რობერტო ერასი გონსალესთან და სევილიასთან მოპოვებული ნახევარწუთიანი და წუთიანი უპირატესობისთვის რაიმეს წამატებას. სხვა შემთხვევაში ბოლო, 21-ე ინდივიდუალურ ეტაპზე საეჭვოა, მას ეს მცირე უპირატესობა ეყოს. ორივე მდევარი ერთი გუნდიდან არის და ამასთან ინდივიდუალურ რბოლაშიც თითოეული მათგანი ერასზე უკეთ ასპარეზობს. თუმცა ეს ყველაფერი მხოლოდ თეორიაა, რაშიც ცხოვრებას ძალზე ხშირად საკმაოდ მნიშვნელოვანი კორექტივები შეაქვს ხოლმე. ერთი კი ნაღდია, ვუელტას ფინიშზე ბრძოლა ოქროსფერი მაისურისთვის და საბოლოო გამარჯვებისთვის ველოსპორტის ქომაგის გულის გასახარად გვარიანად დაიძაბა. დანამდვილებით იმის თქმა შეიძლება, რომ ვუელტას ჩემპიონი ესპანელი იქნება. უფრო ზუსტად, ზევით დასახელებული სამი სპორტსმენიდან ერთ-ერთი.

პარალელურად ველოსამყაროს ყურადღება მიიპყრო ტურ დე ფრანსის 1997 წლის ჩემპიონის, მსოფლიოს ორგზის და ოლიმპიური ჩემპიონის იან ულრიხის განცხადებამ. გერმანელი მრბოლის თქმით, იგი აღარ განაახლებს კონტრაქტს „ტელეკომთან". სავარაუდოა, რომ მარტიდან, როცა მას ექვსთვიანი დისკვალიფიკაციის ვადა გაუვა, იგი ან ყოფილი თანაგუნდელის, ახლა კი „ტისკალის" მენეჯერის ბიარნე რიისის გუნდში აღმოჩნდება ან „კასტში".

მკითხველს ალბათ ახსოვს ამ ბრწყინვალე სპორტსმენის უიღბლობის ამბავი. იგი ზედიზედ ორჯერ ტუ დე ფრანსის წინ დაშავდა და ამ ყველაზე პრესტიჟულ ველორბოლაში მონაწილეობა ვერ მიიღო. წლევანდელ ხიფათს ისიც დაემთხვა, რომ ულრიხი, როგორც ჩანს, სწორედ ამგვარი უიღბლობით გამწარებული, ნასვამი გამოიჭირა პოლიციამ, შემდეგ კი სისხლში რომელიღაც აკრძალული პრეპარატი კვლავაც აღმოუჩინეს. დოპინგის შეგნებულად მიღებაზე ლაპარაკი, ცხადია, სისულელეა, რადგან სპორტსმენი მუხლის ტრავმის გამო აღარ აპირებდა შეჯიბრებაში გამოსვლას და ღამის კლუბში გამოთრობაც ტურ დე ფრანსის კიდევ ერთხელ იძულებითი გამოტოვებით იყო გამოწვეული.

**ირაკლი ბერიაშვილი**

### ტექნიკური შედეგები

**XVII ეტაპი ბენავენტე-სალამანკა 145,6კმ**

1. ანჯელო ფურლანი („ალესიო", იტალია) -------------------- 2 სთ 58 წთ 00 წმ
2. ერიკ ცაბელი („ტელეკომი", გერმანია) -------------------------- იგივე დრო
3. ალესანდრო პეტაკი („ფასა ბარტოლო", იტალია) ---------------- იგივე დრო

შიტორიუ კარატე-დო კოფუკანის კლუბი „სოდანი"

აცხადებს გოგონებისა და ვაჟების მიღებას 7-წლიდან

ვარჯიშებს გაუძღვებიან მაღალკვალიფიციური, I და III დანის ინსტრუქტორები, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონები და მსოფლიოს პრიზიორები.

გთხოვთ, მობრძანდეთ

ვარჯიშები ტარდება:

მეტრო ელექტრო დეპოსთან ტრიკოტაჟის ფაბრიკის ტერიტორიაზე

ორშაბათი, ოთხშაბათი, პარასკევი საღამოს 16 - 18 საათი

ცნობებისათვის დარეკეთ 69-78-55 (899) 23-90-08



# მსოფლიო ზღვაოსანი

მარტოხელა ზღვაოსანი ბრედ ვან ლიუ თავისი იახტით დედამიწის შემოცურვას აპირებს. ამას რვა თვე მაინც მოუნდება და მამაცს არაერთი შტორმი და ტალღა შეხვდება გზაზე. თუმცა, მისი თხუთმეტფუტა ნავი „ფრიდომ ამერიკა" მზადაა. ცურვის გზა იმგვარადაა შედგენილი, რომ ბრედი შვიდ განთქმულ კონცხს მიადგება.



REUTERS ნიუ იორკიდან

# გოლიათი მოიყვანეს

გახურდა აზიის თამაშები სამხრეთ კორეის ქალაქ პუსანში და მასპინძლებმაც გამოიყვანეს თავიანთი საკალათბურთო ფალავანი, 231-სანტიმეტრიანი რი მიუნგ-ჰანი, რომელიც ერთ დროს ენბიეისაც კი უმიზნებდა. აზიის თამაშებზე კი სამხრეთ კორეას ყველაზე დიდი, 173-კაციანი გუნდი ჰყავს.



REUTERS პუსანიდან



REUTERS ნანჯინგიდან

# ცრემლიანი ვერცხლი

ტირის რუსის კალათბურთელი ანა არხიპოვა, რომელსაც სულაც არახარებს მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის მედალი. ჩინეთის ნანჯინგში დასრულებული მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში ამერიკელმა გოგონებმა მძიმე თამაშში სძლიეს რუსებს 79-75.

# თავდებით გამოვიდა


REUTERS მინეაპოლისიდან

მინეაპოლისის ციხეს ტოვებს „მინესოტა ვიკინგზის" მობურთალი რენდი მოსი, რომელიც ვირის აბანოში წინა ღამით მიაბრძანეს. მოსს სულაც არ უნდა, რომ ტელეკამერებმა მისი სახე გამოაჩინონ ეკრანზე და თავზე ქურთუკი წამოუხურავს. მობურთალს პოლიციის ოფიცერთან მოსვლია ჩხუბი და მერე მანქანაც კინაღამ დაუჯახებია მისთვის. ახლა თავდებით გათავისუფლდა და თამაშსაც გააგრძელებს.



REUTERS ნიუ იორკიდან

# გლობალური ლიდერი

მუჰამედ ალიმ კიდევ ერთი ჯილდო მიიღო: გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აშშ-სა და ბიზნესის საბჭოს ასოციაციის მიერ დაწესებული ჯილდო გლობალური ლიდერისათვის. ეს ჯილდო გადაეცემათ ხოლმე გამორჩეულ საზოგადო მოღვაწეებს, რომელთაც გამორჩეული როლი აქვთ დღევანდელ მსოფლიოში.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გია აბულაძიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაკა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge